გ

დანართი №2

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ – ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე:

თამარ აბაზაძე წევრები:

ქეთევან ბაცანჯალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა ჯასრაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი, წევრი);

ნინო თამარაშვილი (უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კობა დევანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 208145345 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | თბილისი, ლილოს დასახლება |
| ფაქტობრივი მისამართი | თბილისი, ლილოს დასახლება |
| საფოსტო ინდექსი | 0198 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/241 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | tbilisi107@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 2741488 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ–განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 9 აგვისტოს MES 6 23 0000979353 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 28-29 სექტემბერი 2023 წელი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | თბილისი, ლილოს დასახლება |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | თბილისი, ლილოს დასახლება |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | თბილისი, ლილოს დასახლება |

### V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

### VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი ივსება მოქმედი ავტორიზაციის/პირველადი ავტორიზაციისას.

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტუალური მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

### VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|
| სტანდარტი1<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ ☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 1.1<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 1.2<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| სტანდარტი3<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 3.1<br>პერსონალის მართვა | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 3.2<br>პერსონალის განვითარება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 3.3<br>პროცესების მართვა | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |

| | |
|---|---|
| კომპონენტი 3.4<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.6<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.7<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| სტანდარტი 4<br>მოსწავლეთა მხარდაჭერა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 4.1<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 4.2<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br><br>**1700** | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br><br>☒ | აღწერა<br>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მითითებულ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას) |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br><br>☐ | დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებს ორ ცვლაში.<br>ეს გარემოება შესაძლებელს ხდის ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **1700** მოსწავლით |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ" შეფასება და მთელი სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა".

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | ხარვეზი |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.... | | .............. |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ხარვეზი |
| | | |
| | | |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი | ხარვეზი |
|---|---|---|
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ გამოჰყოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფად (შეუსაბამობის/ და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.... | | .............. |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრირება და ინფრასტრუქტურული მატერიალური | |
| ინდიკატორი N.3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლამ უზრუნველყოს შენობა–ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა მოიპოვოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024წ. 15.10. |
| ინდიკატორი N.3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს დასკვნის მოპოვება შენობების მდგრადობის შესახებ. 2023 წ 30.11. |
| ინდიკატორი N 3.5.1. | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურობას; | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლამ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სწავლის ინკლუზიურობის შესაქმნელად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 202 წლის 10 ნოემბრამდე. |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| ინდიკატორი N.... | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| ინდიკატორი N.... | | .............. |

## VI. რჩევა

გთხოვთ გამოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
| ინდიკატორი N.... | | .............. |
| ინდიკატორი N. 1.2.2.2 | მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათშორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით | რჩევა: დაწესებულებამ დააკონკრეტოს მონიტორინგ განმახორციელებელი პირი/სტრუქტურა მონიტორინგის განხორციელების მეთოდები |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N.3.5.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მისი ავტორიზაციის ვადით და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | 1. სკოლას მიეცა რჩევა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი როტული ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| | | 2. რჩევა: მოსწავლეთა ჩართულობის მიზნით სკოლამ უზრუნველყოს ეზოში განთავსებული ძველი მეტალო-პლასტმასის ფანჯრების დემონტაჟი. |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N 4.2.2.1. | კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის; | სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს შესაბამისი დოკუმენტი რომლის მიზანი იქნება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სწორად დაგეგმვა, მოტივაციის ამაღლება, ტექნოლოგიური ცოდნის და ინტერესების გაღრმავება და თანამედროვე, მოთხოვნადი პროფესიით მოსწავლეთა დაინტერესება. |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური) | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი<br>2.2.1.1 | სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებითი პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; | რჩევა: დაწყებითი საფეხურის პირველი მეორე უცხოურ ენაში სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვის შესაძლებლობის გაზრდისთვის დაიგეგმოს მეტი პროექტების/თამაშების დავალებები |

| | | |
|---|---|---|
| 2.2.2.5 | სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; | რჩევა: დოკუმენტაციას მიეცა რჩევა, დახვეწოს ვერიფიკაციის მექანიზმი; მეტად დაკონკრეტდეს თუ როგორ უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას და აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმის სასკოლო საზოგადოებაში გაზიარებას. |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო საბაზო საფეხური) | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.1.2.5 | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი | რჩევა: სასურველია უცხოური ენის კათედრამ სასწავლო პროცესში დაგეგმოს და განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი, რასაც შემდგომში დაგეგმვის პროცესი დაეფუძნება |
| 2.2.1.5 | სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. | რჩევა: იმისათვის, რომ მოხდეს სასწავლო პროცესში სხვადასხვა საგნობრივი ცოდნის ურთიერთდაკავშირება, სასურველია უცხოური ენის საბაზო საფეხურზე დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები |

| | | |
|---|---|---|
| 2.2.2.5 | სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; | რჩევა: დოკუმენტებს მიეცა რჩევა, დანერგოს ვერიფიკაციის მექანიზმი; მეტი დაკონკრეტება თუ როგორ ეფექტურად შეფასების სისტემის ვერიფიკაციის და აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმის სასკოლო საზოგადოებაში გაზიარებას. |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო საფეხური) | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.1.2.2 | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მკვიდრი ცნებები, საკვანძო ცნებები და შეკითხვები) | რჩევა: სასურველია უფრო მეტი ქონდეს საშუალო საფეხურზე დაგეგმვის და განხორციელების პროცესში ჩართული აქტივობები, რათა სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს ფუნქციური უნარების გამომუშავებისკენ |
| 2.1.2.5 | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი | რჩევა: სასურველია უფრო ენის კათედრამ სასწავლო პროცესში დაგეგმვის და განხორციელების სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი, რასაც შემდგომში დაგეგმვის პროცესი დაეფუძნება |

| | | |
|---|---|---|
| 2.2.1.5 | სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მიღწეული ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. | რჩევა: იმისათვის, რომ მოხდეს სასწავლო პროცესში სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, სასურველია უფრო ენის საშუალო საფეხურზე დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები |
| 2.2.2.5 | სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; | რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, დახვეწოს ვერიფიკაციის მექანიზმი; მეტად და კონკრეტულად ორიენტირებულიყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას და აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმის სასკოლო საზოგადოებაში გაზიარებას. |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების თაობაზე

გთხოვთ დეტალურად ასახოთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

.ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თავდაპირველად დასკვნის პროექტის თანახმად რიგ სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „არ შეესაბამება" (პირველი სტანდარტის – კომპონენტი 1.2; მესამე სტანდარტის – კომპონენტი 3.4; 3.5 ; მეორე სტანდარტის დაწყებითი საფეხურის – კომპონენტი 2.1. და საბაზო საფეხურის კომპონენტი 2.1..), უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ

პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის ქრონოლოგიური გეგმა, რომელშიც განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა დოკუმენტების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია სტანდარტების მიმართებაში, რის შედეგადაც განხორციელდა მათ მეწილის სრულ შესაბამისობაში გადატანა. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად ნაწილობრივ გაიზიარა დოკუმენტების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.
რეკომენდაცია გაიცა მე–3 სტანდარტის 3.4.1.1 და
3.5.1.1. ინდიკატორის მითითებულ ვადებში განხორციელებაზე.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს – **სსიპ–ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის მისია:**

   აღზარდოს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, კომუნიკაბელური, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოზარდები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, მეცნიერული, ეკონომიკური და ბუნებრივი მონაპოვრების დაცვას, განვითარებასა და მომავალი თაობის მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაციას.

   **სკოლის მომავლის ხედვა:**

   სსიპ–ქალაქ თბილისის №107 საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა, რომ მატერიალური და ადამიანური რესურსის რაციონალური გამოყენებით, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, შექმნას ხელსაყრელი პირობები კომპეტენტური, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

სკოლის ღირებულებები:

- სამართლიანობა;
- მონაწილეობითი მართვა;
- უსაფრთხოება;
- თანასწორობა.

გარდა მისიის, ხედვისა და ღირებულებებისა, სკოლას აქვს გამოკვეთილი აქვს ისეთი პრიორიტეტული ტენდენციები, როგორებიცაა:

- ტრადიციების  დაცვა და პატივისცემა;
- მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- სკოლის ბაზაზე შეიქმნას მუდმივად განვითარებადი მატერიალური და ადამიანური რესურსი;
- ინკლუზიური სწავლება;
- სკოლის პარტნიორული ურთიერთობები.

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესწავლით დგინდება, რომ სსიპ ქალაქ თბილისის №107 საჯარო სკოლის მისია და ხედვა გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან; შესაბამისად, სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; დაწესებულების დოკუმენტაციის, განხორციელებული პროექტებისა და თავად სკოლაში შექმნილი ატმოსფეროს შესწავლით დგინდება, რომ სკოლა ადგილობრივ თემში იდენტიფიცირებულია როგორც უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ფიქსირდება მოსწავლეთა მაღალი მომართვიანობა; სკოლაში სწავლობს არაერთი მოსწავლე, რომელიც  სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. დაწესებულება აქტიურად ახორციელებს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდასა და ფასეულობებზე ორიენტირებულ საკლასო თუ არაფორმალურ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებში დაცულობის განცდისა და კეთილგანწყობის გაღვივებას. სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ აღიქმება მშობლების მხრიდანაც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტებსა და ღონისძიებებში, აფიქსირებენ აზრს სკოლის მიერ ინიცირებულ გამოკითხვებში და სტრუქტურული დებულებით განსაზღვრულ კოლეგიურ ორგანოებში. სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; დაწესებულებამ ექსპერტების მიერ გამოთხოვილ დამატებით დოკუმენტაციაში წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია (''სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია''), რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრის ჩართულობას. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან შემდეგი მხარეები: სკოლის დირექცია, სკოლის ადმინისტრაცია,  მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი, სამეურვეო საბჭო, თემის წარმომადგენელი.
სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; აღნიშნულის მისაღწევად, მეთოდოლოგიაში გაწერილია გაზიარების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობას, პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, უკუკავშირის ფორმებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია, თუ ვისთან უნდა იქნეს გაზიარებული კონკრეტული დოკუმენტები / პროცესები და გაზიარების რა აქტივობები და ელექტრონული საშუალებების გამოყენებაა თითოეულთან მიმართებით რეკომენდებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; ისინი განთავსებულია სკოლის მოქმედ ვებ გვერდზე. მისია და ღირებულებები ასევე გამოკრულია სკოლის ცენტრალურ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
6. სსიპ – ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- დაწესებულების ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/241

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მიზნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა და გაწერილია სკოლის განვითარების გეგმების შემუშავებაში მათი ჩართულობის ეტაპები. აღნიშნული მეთოდოლოგია მოიაზრებს სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მოადგილე. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით. ინფორმაციის მიღება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებისგან - ამ პროცესში მნიშვნელოვანია სკოლის მიერ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების/ჩატარებული კვლევების ანალიზი (მაგ: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი/გაცდენების მაჩვენებლები/სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი და ა.შ.) და სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესების შეფასებისა და ანალიზის შედეგები. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. <u>ინდიკატორი 1.2.1.1. [illegible]</u>
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა 2023–2030 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს სკოლისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტებს, რომლებიც შეესაბამება სასკოლო საზოგადოების მიერ განსაზღვრულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. <u>ინდიკატორი 1.2.1.2. [illegible]</u>
3. დაწესებულების სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ყოველი წლის ბოლოს ხორციელდება სამოქმედო გეგმის ანალიზი და შესაბამისი პირების მიერ შესრულების

ანგარიშების წარდგენა. მიღებული შედეგების გათვალისწინება ხდება მომავალი წლის სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.

**ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები / სტრუქტურული ერთეულები, თუმცა არ არის წარმოდგენილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა განახლებული სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (შესრულების ვადა 2023 წლის 30. 10.) რომელშიც განისაზღვრა სკოლის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამობიდან გადაიტანა შესაბამისობაში

**ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების ვებ გვერდი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას, შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგი. <u>დანართი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია.</u>
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

   სამოქმედო გეგმის მონიტორინგი გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება გულისხმობს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

   მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. <u>დანართი 1.2.2.2. დაკმაყოფილებულია.</u>

   რჩევა: დოკუმენტებში დაკონკრეტდეს მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/სტრუქტურა და მონიტორინგის განხორციელების მეთოდები.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; სკოლა იყენებს შენობაში თვალსაჩინო ადგილებს, საინფორმაციო დაფებს, სადაც განთავსებულია სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის შენობაში ასევე განთავსდება შესრულების ანგარიშები. გარდა ამისა, სკოლა სარგებლობს ვებ გვერდით, რომელზეც ამოქმედებულია შესაბამისი ველი ანგარიშების გამოსაქვეყნებლად. <u>დანართი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია.</u>
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს

ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. ყოველწლიური შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი 1.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების ვებ გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მოიცავდეს ერთ გვერდს მინიმუმ.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

1. სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია სსიპ ქალაქ თბილისის N 107–საჯარო სკოლის თანამდებობრივ ინსტრუქციებში, დებულებებსა და შრომით ხელშეკრულებებში. თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება–მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა შესასრულებლად, აგრეთვე, წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებებში გაწერილია, როგორც ზოგადი ხასიათის უფლება–მოვალეობები, ასევე კონკრეტული პირის ფუნქციებიც მკაფიოდაა განსაზღვრული. ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია შრომის შინაგანაწესი (შრომითი ხელშეკრულება 3.3.1.), რომლის გაცნობა ხელმოწერით დასტურდება ხელშეკრულებაშივე.

   <u>ინდიკატორი 3.1.1.1. დამაკმაყოფილებელი</u>

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სკოლის სტრუქტურა შედგება სკოლის სტრუქტურული ერთეულებისაგან, ჯგუფებისაგან (კომისიები/საბჭოები) და თანამდებობრივი პოზიციებისაგან. დაწესებულებაში დასაქმებული პირების მკაფიოდ გაწერილი მოვალეობები და სტრუქტურული ერთეულების დებულებები უზრუნველყოფს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ეფექტურად გადანაწილებას. სკოლას შემუშავებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა სსიპ ქალაქ თბილისის N 107–საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის ერთ–ერთი მთავარი მიზანია ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვა და წარმართვა, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სკოლის წინაშე

მდგარი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. **ინდიკატორი 3.1.1.2. დადასტურებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N 107 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N 107 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- შრომითი ხელშეკრულებები.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სსიპ ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა ხორციელდება მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. სკოლაში მოქმედებს „ზოგადი განათლების შესახებ" კანონით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეული. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის: სსიპ ქალაქ თბილისის N 107 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, სსიპ ქალაქ

თბილისის N107 საჯარო სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი, და შინაგანაწესი. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი რეგულაციები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. [illegible] 3.1.2.1. [illegible]

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სსიპ ქალაქ თბილისის N 107 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სკოლაში მოქმედებს ინტერვენციული მართვის პოლიტიკა. სკოლის დირექტორის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, რომელიც დარეგისტრირებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ხდება შემცვლელი მასწავლებლით ჩანაცვლება. განსაკუთრებულ შემთხვევებში (დეკრეტული შვებულება, საავადმყოფო ფურცელი და ა.შ.) ხდება მოწვეული მასწავლებლით ჩანაცვლება ან ცხადდება ვაკანსია კანონით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. [illegible] 3.1.2.2. [illegible]

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას. წესში გაცხადებულია კონკურსის ჩატარებისა და კადრების შერჩევის მთავარი პრინციპები:

ა) ობიექტურობა _ კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;

ბ) გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისათვის;

გ) საჯაროობა – კონკურსის პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;

დ) კოლეგიურობა – კონკურსის უნდა ჩაატარდეს და ვაკანტური ადგილის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა უნდა განხორციელდეს საკონკურსო კომისიის მიერ;

ე) კორექტულობა – კონკურსის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული, საკონკურსო კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

სკოლაში არსებული ვაკანსიის შესავსებად ცხადდება შიდა და ღია კონკურსი; სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, სპეციალური მოთხოვნები. ინფორმაცია შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში, ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილას სამასწავლებლოში, საინფორმაციო დაფაზე. ღია კონკურსის გამოცხადება ხდება ინტერნეტ ვებგვერდზე http://teacherjobs.ge-ზე. გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია. [illegible] 3.1.2.3. [illegible]

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებული პერსონალი შერჩეულია სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით. კანდიდატების შერჩევა ხდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია 19 წამყვანი, 58 უფროსი მასწავლებელი და 3 სპეც. მასწავლებელი. მათი პირადი საქმეები მოწესრიგებულია, წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საბუთი. [illegible] 3.1.2.4. [illegible]

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; დაწესებულებამ წარმოადგინა გუნდური მუშაობისა და გადაწყვეტილებების მონაწილეობითი პრინციპით მიღების მტკიცებულებები - შეხვედრის ოქმები, ვიზუალური მასალა, განხორციელებული პროექტები. გუნდური მუშაობის თვალსაჩინო მაგალითია საგნობრივი კათედრების წევრების მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები, შექმნილი კურიკულუმები, ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და მრავალფეროვანი აქტივობები. [illegible] 3.1.2.5. [illegible]

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის თანამშრომელთა წახალისების სახეები და მექანიზმები ასახულია სკოლის შინაგანაწესში. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის სკოლა ხშირად მიმართავს წახალისების ისეთ ფორმას, როგორიცაა: მადლობა, სიგელით დაჯილდოვება. მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტები, განხორციელებული პროექტები და განსაკუთრებული მიღწევები თვალსაჩინოდ არის გამოფენილი სკოლის შენობასა და დერეფნებში, სკოლისა და სკოლის ფარგლებში მოქმედი კლუბების სოციალურ გვერდებზე. [illegible] 3.1.2.6. [illegible]

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N 107 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N 107 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სსიპ ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი;
- შინაგანაწესი;
- საშტატო განრიგი;
- კათედრების საქაღალდეები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

o გთხოვთ ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; სსიპ ქალაქ თბილისის N 107 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილია პერსონალის საჭიროებათა დადგენისა და შეფასების მექანიზმები. პედაგოგთა საჭიროების დასადგენად სკოლა მიმართავს ორ ძირითად მეთოდს: მასწავლებელთა თვითრეფლექსიასა და სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრების მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას. ხარისხის ჯგუფში გაწევრიანებულნი არიან: დირექციის ორი წარმომადგენელი, შვიდი კათედრის ხელმძღვანელი, ერთი სპეც. მასწავლებელი. ისინი თანამშრომლობის, კრიტიკული მეგობრის, ურთიერთდასწრების პრინციპის საფუძველზე ახდენენ მასწავლებელთა შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვას, მასწავლებელთა საჭიროების დადგენას და პროფესიული განვითარების აქტივობების განსაზღვრას. **სტანდარტი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; პერსონალის თვითრეფლექსიებზე, სამოქმედო გეგმებსა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით, სკოლა გამოკვეთს პროფესიული განვითარების პრიორიტეტებს. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, კვალიფიციური კადრები ხარისხიანი და საფუძვლიანი განათლების მიღების გარანტიაა, ამიტომაც სკოლა ჩართულია USAID–ის საბაზისო განათლების პროგრამაში; მასწავლებლები რეგულარულად ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს; გარდა ამისა, სკოლა მუდმივად სთავაზობს მასწავლებლებსა და თანამშრომლებს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ ტრენინგებს. **სტანდარტი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით დაგეგმილ მიმართულებებში სკოლას ერთერთ მიმართულებათ განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსების განვითარება , კერძოდ: ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება.ხარისხიანი განათლებისა და ეფექტური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისთვის სკოლა ზრუნავს კვალიფიციური, მომზადებული და პროფესიულად მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებლის დასქამებასა და მათ კარიერულ ზრდაზე. სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას, რაშიც მოიაზრება ტრენინგები, ვებინარები, სამუშაო შეხვედრები, გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა და ა.შ.ასევე 2023 წლის 08.09–ს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მუხლი5 ; მუხლი 7 და მუხლი 9 არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდას. **სტანდარტი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს სასკოლო საზოგადოებაში ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცედურები, გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირი/პირები და ვადები. აღნიშნული გეგმის მიხედვით სკოლას განსაზღვრული აქვს ახალი თანამშრომლის წარდგენა, მისი საკომუნიკაციო ჯგუფებში დამატება, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, სკოლის რიტუალების და კულტურის გაცნობა, მისი პროფესიული საჭიროებების შეფასება და მხარდაჭერა. **სტანდარტი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები;ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომლის ერთერთ ინდიკატორს წარმოადგენს კადრების მოტივაცია. მუხლი 3 პუნქტი ,,ე'' და მუხლი 5 ,,გ'' რეგულირდება დასაქმებულთა წახალისების ინიციატივები. სკოლის შინაგანაწესის მუხლი 13–ით განსაზღვრულია დასაქმებულთა წახალისების სახეები და გამოყენების წესი <u>ინდიკატორი **3.2.1.5.** დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის 2023-2030 წლის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- 01.02.2023 MES 6230000105910 ტრენინგის ცნობა;
- დასაქმებულის შრომითი ხელშეკრულება N5-24;

შეფასება:

o გთხოვთ, აღნიშნოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტის დოკუმენტი, რომლის თანახმად, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმვის, განახორციელების, შეაფასების და განავითარების ციკლს.<u>ინდიკატორი **3.3.1.1.** დაკმაყოფილებულია.</u>

2.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვიტარების გეგმაში. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის მმართველობითი პროცესებია: ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა; სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება; მოსწავლეთათვის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის მოტივაციის გაზრდა;
<u>ინდიკატორი **3.3.1.2.** დაკმაყოფილებულია.</u>

3.სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს შემუშავებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლის დირექტორის 2023 წლის 28.09 –ის ბრძანება MES 7230000000584.სკოლის მიერ შემუშავებულ „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტში, თავი I, მუხლი 6 არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების პროცედურას. ხოლო, იმავე დოკუმენტში თავი II, მუხლი 4 სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების პროცედურებს. სკოლის თანამშრომლებსა თუ მოსწავლეთა მშობლებს, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შუძლიათ მიმართონ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და

შესაბამისი დისციპლინური სახდელები. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე, ხოლო სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება განხილულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს არეგულირებს, დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის’’ დოკუმენტი. ამ მიზნით სკოლას აქვს შინაგანაწესი;სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლას ყავს დისციპლინარული კომიტეტი; სკოლას ყავს მანდატური/ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; სკოლის ექიმი;თოთოეულ კლასს ყავს დამრიგებელი;სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს უფლება აქვს ჰქონდეს უსაფრთხო გარემო.მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებები რეგულირდება ამავე დოკუმენტის მუხლი2–ით ყველა უფლებები რეგულირდება მუხლი5–ით ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 28.09 –ის ბრძანება MES 7230000000584;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები;
- შინაგანაწესი;
- დირექტორსა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამა მე7 –დ კლასი.

**3.3.2.** სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლას აქვს გვერდი სოციალური ქსელში, სადაც პერიოდულად განათავსებს სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და იღებს უკუკავშირს. თითოეული კლასის დამრიგებელს შექმნილი აქვს ფეისბუქ ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ამ ჯგუფების დახმარებით, ასევე ხდება მშობლების ინფორმირება, გამოკითხვა და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელება. სკოლის ადმინისტრაცია აწყობს მიზნობრივ შეხვედრებს მშობლებთან სკოლაში მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით. შეხვედრებზე ხდება მშობლების ინიციატივებისა და წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ერთობლივად გადაჭრის გზების დასახვა. სკოლის მოსწავლეთა მშობლები მონაწილეობენ სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, 2023 წლის 13.09–ის დირექტორის ბრძანება MES3230000000535 რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება მოვალეობებს; მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სრატეგიას;მათთან ურთიერთობის ფორმებს და პრინციპებს; საგანმანათლებლო– საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს;საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ–ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. აღნიშნული წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოიყენება სატელეფონო კავშირი, სკოლის ვებ გვერდი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია; საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლის საქმისწარმოების წესის თანახმად, პირადი საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სკოლის დირექციას წერილობითი განცხადებით, რაზეც დირექციის მხრიდან იღებენ მყისიერ უკუკავშირს. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.**სტანდარტი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2.მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა სკოლის მართვის ორგანოებში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლებით სამეურვეო საბჭოში, რომელიც არის უმაღლესი არჩევითი ორგანო და რომელთანაც ხდება სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წარდგენა დასამტკიცებლად და/ან შესათანხმებლად. მოსწავლეთა არჩევითი ორგანოს, სკოლის სტრუქტურული ერთეულის, მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში. მასწავლებელთა გაერთიანება - პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები – კათედრის დონზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არიან ჩართული,

დისციპლინური კომიტეტი კი განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს.სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 სექტემბრის N534 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ N 107–საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები.

<u>ინდიკატორი **3.3.2.2.** დემოკრატიულობა</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები.

- 2023 წლის 13.09–ის დირექტორის ბრძანება MES3230000000535;
- სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულების(კომუნიკაციის სტრატეგია) წესი;
- 2023 წლის 13 სექტემბრის MES3230000000534 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ N 107–საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;

შეფასება:

o გუნდის ერთიანი შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4.** ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

**3.4.1.** სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

**7.** სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სკოლის საერთო ტერიტორია (მიწის ნაკვეთი შენობა ნაგებობებიანად) 9748 კვ.მ-ია. ტერიტორია შემოღობილია. სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე სათადარიგო გასასვლელი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია 32 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი სკოლის ,,ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით“. სკოლას გამოყოფილი ჰყავს დირექტორის 2023 წლის 20.09. ბრძანება N1კ-93-ით, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე არის მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დღის დარაჯი და საღამოს დარაჯი. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2019 წლის 20 აგვისტოს მიწერილობა N1294 სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე. დარღვევების მოწესრიგებას და სისრულეში მოყვანას ესაჭიროება ფინანსები. სკოლის დირექტორის მიერ (2022 13.10 წერილი MES5220001289691 და 2023 31.07 წერილი MES 9230000947153) განხორციელდა მიწერილობა პრობლემის მოგვარების თაობაზე სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. ასევე ვიზიტის ეტაპზე სკოლას განხორციელებული ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, შენობის საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრული იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი ,,112’’;

სკოლას ჰყავს ექიმი და შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება No41/ნ/01-23/ნ-ით ( 2022 წლის 21 მარტი) განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სკოლას არ აქვს შემუშავებული და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში არ გაიზიარა ექსპერტთა პოზიცია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის არქონის შესახებ და აფიქსირებს პოზიციას, რომ ვიზიტის დროს მათი დოკუმენტი უკვე ქონდათ დამტკიცებული და შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში და არც სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დოკუმენტის გამოთხოვის დროს ექსპერტებს არსებული დოკუმენტი არ გვინახავს.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შპს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 16.08-ს შეთანხმებული და დირექტორის 2023 წლის 24.08 N294 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა–ნაგებობების სახანძრო–უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა დასკვნას შენობა–ნაგებობების სახანძრო–უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, მიიღებს 2024 წლის 15. 10–მდე

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობების მდგრადობის შესახებ.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა დასკვნას შენობების მდგრადობის შესახებ მიიღებს 2023 წლის 30 ნოემბრისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილად შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლამ უზრუნველყოს შენობა–ნაგებობების სახანძრო–უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა მიიღოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ასევე, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს დასკვნის მიღება შენობების მდგრადობის შესახებ.

<u>ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად შესაბამისობაშია</u>

2.სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები'', ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია დამრიგებლის ვალდებულება, დაეხმაროს მოსწავლეს სასკოლო გარემოში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია საკუთარ გაკვეთილზე, კლასში, წესრიგის და დისციპლინის დაცვის ვალდებულება და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა; სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. ბრძანებით დამტკიცებულია მორიგე მასწავლებელთა განრიგი. ასევე, ბრძანებით განსაზღვრულია სკოლაში შემომსვლელ პირთა აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს 3 მანდატური რომელიც პასუხისმგებელია სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, რომლის მოვალეობაა საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა; აღკვეთოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მის მიმდინარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევები, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს; გამოავლინოს დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაცია, შეასრულოს მედიატორის როლი და მოაგვაროს კონფლიქტი და სხვა. <u>[illegible] **3.4.1.2.** [illegible]</u>

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას:სსიპ ქ. თბილისის 107-ე საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულების მუხლი 7 -ით რეგულირდება საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები; კერძოდ:სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ მაინც აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე , როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლება -აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;ძალადობა(მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;ბულინგი, კიბერბულინგი, და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; და სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის ცხოვრებაში. ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტის ორგანიზებით მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ტარდება ტრენინგები კიბერუსაფრთხოების საკითხებზე, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. სკოლაში დასაქმებულია საშტატო ერთეულით განსაზღვრული ფსიქოლოგი,რომელიც სისტემატიურად ატარებს შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან.კლასის დამრიგებლები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს კლასის საათის ფარგლებში.<u>[illegible] **3.4.1.3.** [illegible]</u>.

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 5 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლის ყველა სართულზე ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი გოგონებისა და ვაჟებისთვის, პედაგოგებისთვის.მოსაწესრიგებელია გაყვანილობა, რაც იწვევს კედლების დანესტიანებას. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სან.კვანძი. დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში.რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციით. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვას მონიტორინგს უწევს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და სკოლის ექიმი. რჩევა:

მოწესრიგდეს სან. კვანძს მილები <u>ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2023 წლის 09.06.ბრძანება N1კ–57–ით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის, პერსონალური მონაცემთა დამუშავების და დაცვის პრინციპებს, გამოყენების მიზნებს და სხვა. აღნიშნულ დოკუმენტს თან ახლავს თანხმობის ფორმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ საქმეთა მმართველსა და დამრიგებლებს. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პერონალის პირადი საქმეები.

<u>ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.</u>

6.პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის მუხლი 6–ით რეგულირდება პერსონალური მონაცემების დაცვა;მუხლი7–ით– მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams))გამოყენების შემთხვევაში;მუხლი8–ით –მოსწავლის მონაცემების დაცვა მატერიალური და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში;მუხლი9– მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას; მუხლი10– მონაცემების დაცვა შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას; მუხლი11– მონაცემების დაცვა ელ. ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას; მუხლი12– მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და ტანამსრომელტა პირადი საქმის წარმოებისას;მუხლი13– მონაცემების დაცვა ელექტრონული ბაზის წარმოებისას.დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე რეგულირდება ამავე წესის მუხლი 18–ით.სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვის ნაწილში პასუხისმგებელი პირი.

<u>ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.</u>

7.სკოლის დირექტორის 2023 წლის 09.06.ბრძანება 1ვ-58-ით, სსიპ ქ. თბილისის N107 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. მონაცემთა დაცვის მონიტორინგი რეგულირდება ამავე წესის მუხლი17-ით. ასევე .სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ. სკოლის დამხმარე პროცესების შემოწმებისათვის შეირჩევა სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტის შეფასების კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების შედეგად რეკომენდაციების შემუშავება.

**ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N1294;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 20.09. ბრძანება N 1ვ-93;
- დირექტორის 2022 13.10 წერილი MES5220001289691 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ;
- დირექტორის 2023 31.07. წერილი MES 9230000947153 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან;
- დირექტორის 2023 წლის 09.06.ბრძანება N1ვ-57-ით დამტკიცებული,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- დირექტორის 2023 წლის 11.09.ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვის ნაწილში პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ. N1ვ-87;

შეფასება:

o გთხოვთ ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1.** სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მიახლოებული ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განსაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.სსიპ თბილისის 107–ე საჯარო სკოლა, საჯარო რეესტრის ამონაწერით (მიწის საკადასტრო კოდიN01.19.27.008.012), ფუნქციონირებს ქ. თბილისში, მდებარეობს ლილოს დასახლებაში, წარმოადგენს ტიპიურ 4 სართულიან შენობას, რომელიც ე. წ. გადასასვლელი ხიდით აკავშირებს 2 კორპუსს. თითოეულ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, სულ 53, მათ შორისაა კომპიუტერული, ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორია. ასევე შენობაში მოწყობილია 1 რესურს ოთახი სსსმ და შშმ პირებისთვის, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, ერთი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კანცელარია–დირექტორის კაბინეტი და მენეჯერი–ბუღალტრის კაბინეტი. სკოლას გააჩნია შიდა ლიფტი პირველ სართულზე.ეზო

შემოსაზღვრულია ღობით. სკოლის საერთო ტერიტორია (მიწინ ნაკვეთი შენობა ნაგებობეიანად) 9748 კვ.მ–ია. აქედან შენობა ნაგებობა N I საერთო ფართი შეადგენს 5133.66კვ.მეტრს. შენობა ნაგებობა N II–III საერთო ფართობით 2335.86კვ.მ შენობა ნაგებობა N4 15,55კვ.მ სადაც განთავსებულია საქვაბე. სასწავლო პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს. სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, გამართულია. შენობა NII–IIIის 1 სართულზე არის სპორტული დარბაზი,გასახდელებით(სრულად სარეაბილიტაციო) და სკოლის ბუფეტი (ფართი იჯარით არის გაცემული სრული კანონმდებლობის დაცვის წესით), ასევე 6 საკლასო ოთახი.დათვალიერებამ ცხადყო, რომ სპორტული აქტივობებისთვის სკოლა უზრუნველყოფილია საკმარისი რესურსით (ფრენბურთის ბადეები, ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის, ჩოგბურთის ბურთები, შვედური კედელი, ჩოგბურთის მაგიდა). მე–2 სართულზე, სააქტო დარბაზი (სარეაბილიტაციო), სკოლის ბიბლიოთეკა და 2 საკლასო ოთახი. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია მხატვრული ლიტერატურითა და გრიფირებული სახელმძღვანელოებით. წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. ვიზიტის დროს დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ბიბლიოთეკის სარეგისტრაციო ჟურნალის აღრიცხვა არ იყო თანხვედრაში წიგნების გადანომვრასთან.

სკოლას მიეცა რჩევა: ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის [illegible] ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ.

სკოლას აქვს ლიფტი შშმ მოსწავლეთათვის, ადაპტირებული სველი წერტილი. ლიფტით გადაადგილება შესაძლებელია სკოლის პირველ სართულზე. სკოლას აქვს რესურს ოთახი.სკოლის ეზოში ფუნქციონირებს ერთი ასფალტის საფარიანი ღია სპორტული მოედანი, რომელიც საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. სკოლის ეზოს ნაწილი არის განაშენიანებული მარადმწვანე ნარგავებით. სკოლის ნაგებობა NI–ს 2021 წელს სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია(NEFCO) დაფინანსებით, აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდ (E5P) მეშვეობით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლის გარე ფასადს და დამონტაჟდა ენერგო ეფექტორები, განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენების მიზნით. პროექტის ფარგლებში სკოლას აქვს აღებული ვალდებულება დაიცვას შესატყვისობა შესაბამის საერთაშორისო გარემოსდაცვითი პრაქტიკასთან და ქვეპროეტის ექსპლუატაცია და ტექმომსახურება აწარმოოს საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, როგორც ამას ითვალისწინებს NEFCO–ს გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები. ეზოს ნაწილში განთავსებულია დემონტაჟის შემდგომ დარჩენილი ძველი მეტალო–პლასტმასის ფანჯრები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. სკოლის ბალანსზეა - 1232 მერხი. დირექტორის განმარტებით გარკვეული რაოდენობა დაზიანებულია და შესაძლოა ჩამოიწეროს. თუმცა სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისათვის (1300 მოსწავლე) ორ ცვლაზე საკმარისია.

რჩევა: მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით, სკოლამ უზრუნველყოს ეზოში განთავსებულ შენობებში მეტალო-პლასტმასის ფანჯრების დამონტაჟება.

**ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობა ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია და სოციალიზაციისათვის ეფექტურ პირობებს ქმნის. გარდა ბიბლიოთეკისა, რესურსოთახისა, კომპიუტერული თუ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისა, სააქტო და სპორტული დარბაზებისა/მოედნისა, სარეკრეაციო ზონებიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის.დერეფანში გამოყოფილია სივრცე, რომელშიც გამოფენილია ამავე სკოლის პედაგოგთა, მოსწავლეთა ნამუშევრები და შექმნილი რესურსები. იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის დათვალიერებისას და ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ ეზოც ხშირად არის გამოყენებული მიზნობრივი აქტივობებისთვის. **ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს რესურსოთახი, სადაც მუშაობს სპეციალური მასწავლებელი. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და დეტალურად გაეცნენ მის საქმიანობას. თუმცა სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის პირველ სართულზე დამონტაჟებულია ლიფტი შშმ მოსწავლეთათვის, ამავე სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი. მაგრამ, ვინაიდან სკოლას არ აქვს პანდუსი და ლიფთი ძედა სართულებზე გადაადგილებისათვის, შენობაში ეტლით მოსარგებლე შშმ მოსწავლეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სპორტული დარბაზი. ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

დეფიციტების აღმოსაფხვრელად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლის ადაპტაციის ვადები თითოეული დეფიციტისთვის საგანმანათლებლო სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს შესაბამისად სკოლის ადაპტირების მოთხოვნას უზრუნველყოფს 2024 წლის 10 ნოემბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მიუთითა ინდიკატორის შეფასება შესაბამისად გაიცემა მოქმედი შესაბამისობაში

სკოლის მიერ რეკომენდაცია, სკოლამ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მორგება სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში

**3.5.1.3.** ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ კეთილმოწყობილია და აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზევე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები.სკოლის სააქტო დარბაზში იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, სკოლის ფოიეში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების, კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტების გამოფენა/განთავსება. სადღესასწაულო დღეების აღნიშვნა– ორგანიზება. სპორტულ დარბაზში იმართება სასკოლო, საქალაქო, რეგიონალური ღონისძიებები ინდიკატორი **3.5.1.4.** დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით, სკოლის მიერ დადგენილი წესით. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკაში არის, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. ადგილზე დათვალიერებამ ცხადყო, რომ სკოლა უხვად ფლობს საჭირო საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის სხვადახვა სახის თვალსაჩინოებას: რუკებს, პლაკატებს, მოდელებს. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გამართული და სასწავლო რესურსებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა. ყველა საგნისთვის (ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა) არსებობს კაბინეტები. ლაბორატოიებში არის შესაბამისი ხელსაწყოები: სინჯარები, კოლბები, სხვადასხვა ნივთიერებები და ეს ყველაფერი განლაგებულია კარადებში. კედლებზე გაკრულია შესაბამისი საინფორმაციო პლაკატები უსაფრთხოების წესების დასაცავად. ასევე, ყველა საჭირო სასწავლო რესურსი. ბიოლოგიის კაბინეტში მოწესრიგებულადაა განლაგებული მულაჟები, სხვადასხვა თავლსაჩინოებები, აქვთ 2 მიკროსკოპი. ისტ–ის მიმართულებით მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.

შენიშვნა**:** სასურველია სკოლის ქიმიის კაბინეტში დამონტაჟდეს გამწოვი კარადა და სველი წერტილი

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია დასტურდება

(მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტიდან;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- შ.პ.ს.,,მამული–2 ‘‘–ის მომზადებული, შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;

- სსიპ საქართველოს მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდსა და სსიპ ქ. თბილისისN107 საჯარო სკოლას შორის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ქვეპროექტის განხორციელების შესახებ 2021 წლის ხელშეკრულება;.
- სკოლის 2022 წლის საინვენტარიზაციო აქტი;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

**3.6.1.** სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სკოლაში სულ 36 კომპიუტერია. კომპიუტერები მიღებულია სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან . მათ შორის 22 კომპიუტერი არის მუშა მდგომარეობაში. აქედან, 15 კომპიუტერი განთავსებულია სკოლის კომპიუტერების ლაბორატორიაში, 1 სამასწავლებლოში 6 ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ სხვადსხვა ოთახში.. სკოლას ასევე აქვს 9 პროექტორი და 6 პრინტერი. ინტერნეტის სიჩქარე საშუალოდ 40 მბტ–ია, თუმცა ეს სიჩქარე არაა საკმარისი ამჟამად არსებული კომპიუტერებისთვის, ინტერნეტი მუშაობს ნელა და შეფერხებით, მიეწოდება მხოლოდ კომპიუტერულ ლაბორატორიას, სამასწავლებლოს და ადმინისტაციისთვის განკუთვნილ კომპიუტერებს. სკოლა არაა

დაფარული WI–FI ინტერნეტით, რის გამოც სკოლა სრულფასოვნად ვერ აყენებს მასწავლებლებისთვის განკუთვნილ კომპიუტერულ ტექნიკას, ასევე WI-FI ინტერნეტი საჭიროა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ბუკების გამართულად მუშაობისთვის. ადმინისტრაციისათვის გამოყოფილია დესქთოფ კომპიუტერები, საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები გამოიყენებენ ლეფთოფებს (საჭიროების შემთხვევაში პროექტორებს). მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ ლაბორატორიებით განრიგის შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები იყენებენ ელექტრონულ რესურსებს: eflow, eSchool, school.emis.ge, ck 12, LG–ს საგანმანათლებლო რესურსი, kargi skola.ge, google earth, GeoGebra, Desmos, მათ გრაფიკი, Grammer. ge, ტელესკოლა და სხვა.

<u>ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია</u>

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამკიცებულია სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი; რომელიც ადგენს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესს. დგინდება, რომ სკოლაში მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეა: სამასწავლებლო და კომპიუტერული კლასი. დოკუმენტით განსაზღვრულია მასწავლებლების მხარდაჭერა საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. . მასწავლებლებს წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით ეძლევათ შესაძლებლობა აღნიშნულ სივრცეებში განთავსებული კომპიუტერები გამოიყენონ გაკვეთილის მსვლელობისას. <u>ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

**3.6.2** სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლა საქმისწარმოების წესის განხორციელების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“. ამასთანავე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. შემოსული და გასული კორესპოდენციების რეგისტრირება/დამუშავება ხდება eflow–ში. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები. გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია. ინდიკატორი 3.6.2.1. დოკუმენტები 2.სკოლა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. სკოლა ასევე იყენებს, ელექტრონული ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს ელექტრონული ფოსტა, გვერდი სოციალურ ქსელში და სხვადასხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.6.2.2. დოკუმენტები

3.სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი, სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას. ინდიკატორი 3.6.2.3. დოკუმენტები

4.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.სკოლის დირექტორი წლის ბოლოს ფინანსურ და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. ასევე, სკოლა ანგარიშვალდებულია საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს, პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ მინისტრს ,როგორც მატერიალურად ასევე, ელექტრონული სახით.

ინდიკატორი 3.6.2.4. დოკუმენტები

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(eflow, eSchool) ;.
- საქმისწარმოებლის დებულება
- ანგარიში სამეურვეო საბჭოს, მაცნეს.

### 3.6.3. სკოლა მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლას აქვს ვებ გვერდი, ფეისბუქ გვერდი მასზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლისა და სკოლაში განხორციელებული, მიმდინარე აქტივობების შესახებ. სკოლის მასწავლებლები, საკომუნიკაციოდ იყენებენროგორც მესენჯერ ჯგუფებს, ასევე teams-ის პლატფორმას. კლასის დამრიგებლებს, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან სწრაფი კომუნიკაციისთვის შექმნილი აქვთ ჯგუფები. აღნიშნული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს მშობლებთან კომუნიკაციასა და ოპერატიულობას. სკოლა სარგებლობს ელ.ჟურნალით, რომლის საშუალებითაც მშობლები ეცნობიან ინფორმაციას შვილის/მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობისა და კომუნიკაციისათვის, ასევე სასწავლო აქტივობებისთვის იყენებენ teams-ის პლატფორმას.სტანდარტი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას ვებ გვერდის და ასევე სხვა სოციალური საშუალებით. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.სტანდარტი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3.ინტერვიუდან ირკვევა,რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კერძოდ, შემოსული დოკუმენტაცია ტარდება Eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში. შემოსული განცხადება სკოლის დირექტორის მიერ ეწერება შესაბამის უფლებამოსილ პირს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც განესაზღვრება ინფორმაციის დირექტორისათვის წარდგენის ვადა. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება. საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ხდება ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის. ასევე სკოლამ სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირი შეიძლება მიიღოს დამრიგებლების მშობლებთან კომუნიკაციის მეშვეობით, კრებების მეშვეობით, facebook ჯგუფებიდან, მშობელთა კომიტეტის მეშვეობით და სხვადასხვა გზებით. შესაბამისი საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაციას სკოლა საჭიროებისამებრ იყენებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.<u>ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.</u>

4. მიუხედავ იმისა, რომ სკოლაში განათლებას იღებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, სკოლა უპირატესობას ანიჭებს სახლმწიფო ენას და ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. <u>.ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.</u>

5.სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge . პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სკოლსი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023–2024, მოსწავლის ჩარიცხვისა და სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი,შინაგანაწესი,გასაჩივრების წესი, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმი, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, პირველ კლასში მისაღები მოსწავლეთა რაოდენობა, ინფორმაცია სკოლაში მოქმედი კლუბებისა წრეების შეახებ,ინფორმაცია სკოლის ინფრასტქუტურული მდგომარეობის შესახებ, ფოტო მასალა. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის გასაჯაროებული.

<u>ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/241.

შეფასება:

o გთხოვთ ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლის ფინანსური მდგრადობა

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლა ხელმძღვანელობს სამოურვეო საბჭოს 2022 წლის 10 დეკემბერს (ოქმი N7) დამტკიცებული ბიუჯეტით და ასევე 2023 წლის 19.07 –ით განსაზღვრული 2023 დაზუსტებული–2024 წლის პროექტით გამნსაზღვრული საბიუჯეტო განაცხადით.შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება და სსსმ მოსწავლეების დაფინანსება. დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი, საკუთარი შემოსავლები–იჯარით გაცემული ფართიდან და ფასიანი მომსახურების წრეებიდან. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის, შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს შემუშავებული და სამურვეო საბჭოსთან შეთანხმებული 2022 – 2023 წლის ბიუჯეტი, რომლის კორექტირება განხორციელდა სამჯერ,შესაბამისად სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ასევე შემუშავებული აქვს 2023–2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. ინდიკატორი **3.7.1.1.** დამაკმაყოფილებელი

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით,გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. შესყიდევების გეგმის

შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრებიდან მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. ასევე დირექტორის ბრძანებით MES623000001კ–94 განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი ბაზრის კვლევაზე.საჭიროების შემთხვევაში ინდ.აქტით შეტანილია ცვლილებები შესყვიდვების გეგმაში. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, სკოლას გათვალისწინებული აქვს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები. ასევე ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის’’ მე–6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე 45 შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს ბაზრის კვლევას. 2023 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე, ბაზრის კვლევა განხორციელებულია შემდეგი მეთოდებით: ა) ინტერნეტ სივრცეში პოტენციური მიმწოდებლის მოძიება; ბ) სხვა ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინება (შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდის დათვალიერება/ანალიზი); გ) წინა წლების შესყიდვების გამოცდილების ანალიზი (ხელშეკრულებების შესწავლა); დ) სატელეფონო კვლევა.სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 16 ნოემბრის MES 0220000000579 ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

**ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება MES0220000000579, 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება MES 4230000000545, 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ბრძანება MES 623000001კ–94 ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადი;.

შეფასება:

o გთხოვთ ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

## 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას არეგულირებს, საქართველოს კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ‘‘,ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციით, მოსწავლეთა უფლებების ეთიკის კოდექსით, რომელზე დაყრდნობითაც შეიმუშავებული აქვს შიდა რეგულაციები შინაგანაწესის სახით და ასევე დირექტორის 2023წ 28.09 N723–584 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის,პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმით. რომელშიც დეტალურად არის გაწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები.შექმნას. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების‘‘ შესაბამისად, სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. ამასთანავე, სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო, სადაც მოსწავლეები ახდენენ თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები. მოსწავლეთა წარმომადგენლები შედიან, როგორც დისციპლინურ კომიტეტის შემადგენლობაში, ასევე სამეურვეო საბჭოში. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სადაც განიხილება საკითხები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე.სკოლას ჰყავს დარაჯი, მანდატური, მორიგე მასწავლებლები. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია და დამტკიცებულია სკოლის მიერ.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ დამტკიცებულ მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/ კანონიერი წარმომადგენელის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმით განსაზღვრულია;მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერი უფლებები,მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების წესი..სკოლის სასწავლო გეგმაში სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად საუბარია მოსწავლის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე. კერძოდ, ზოგადი განათლების მიღების უფლება, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება, სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება, გასაჩივრების უფლება, ნეიტრალურობისა და არადისკრიმინაციულობის უფლება, გამოხატვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება,გაერთიანების თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რწმენის თავისუფლება და სხვა უფლებები. აღნიშნული დოკუმენტები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების,მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- დირექტორის 2023 წლის 28.09–ის ბრძანება MES 7230000000584.

**4.1.2.** სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლის საქმისწარმოების წესში, გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის მობილობის სტატუსის შეჩერების წესი.მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისას სკოლა მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს მოსწავლეთა განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვა. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა შესაძლებელია მოხდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტის შესაბამისად. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება მოსწავლეთა მობილობა. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და მოსწავლეთათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ხდება მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ (თუ როგორ მოხდება საფეხურის დაძლევა) ინფორმაციის მიწოდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. მოსწავლის მიერ ზედიზედ სასწავლო დღეების გაცდენის შემთხვევაში, დამრიგებელი ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, ამზადებს წერილობით ანგარიშს მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზებთან დაკავშირებით. 20 სასწავლო დღის შემდეგ კი სკოლა მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკს. ხოლო ზედიზედ 45 სასწავლო დღის შემდეგ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უჩერებს სტატუსს. ხოლო მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნულის თაობაზე მოსწავლის მშობელის/კანონიერი წარმომადგენელისათვის ცნობებას გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში და ინფორმაციის მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვას. ამასთანავე, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი. ინდიკატორი 4.1.2.1. დამაკმაყოფილებელი

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს და ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ინდიკატორი 4.1.2.2. დამაკმაყოფილებელი

3.სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას წრეებისა და კლუბების სახით: სკოლაში ფუნქციონირებს ,,ეკოკლუბი“, ,,მეწარმეობის“,, სამოქალაქო განათლების“ კლუბი. აღნიშნულ კლუბებსა და წრეებში მოსწავლეები გაერთიანებული არიან ინტერესის სფეროს მიხედვით. რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სხვადასხვა კონცეპტუალური დოკუმენტი / მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, შინაგანაწესი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს სკოლის შიდა პოლიტიკასა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით შემუშავებული აქვს რემედიაციის განხორციელების მექანიზმი. სკოლაში მეორე უცხო ენის არჩევა ხდება მშობლებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ მე-4 კლასის დასრულებისას, მშობელთა კრებებზე, მშობლების მიერ, ფარული კენჭისყრით, ხდება სკოლის მიერ შეთავაზებული მეორე უცხო ენის (რუსული, იტალიური) არჩევა.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის პერსონალი პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროს იცავს საქართველოს კანონმდებლობას. მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებს სკოლა ეცნობა და ითვალისწინებს საკუთარ საქმიანობაში. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული.ინდიკატორი **4.1.2.4.** დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანებები;
- საფეხურის დაძლევის ბრძანება;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

o გაწერეთ ასახსნა შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1 სკოლას 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს მოსწავლეთა ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები .სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება–მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდება პირველკლასელთა მშობლებსა და მოსწავლეებს, აცნობს სასკოლო გარემოს, სსსმ მოსწავლის სასკოლოგარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების ნაწილში.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2.კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს.ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას.ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება–მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

კრიტერიუმი 4.2.1.2. დამაკმაყოფილებელი.

3.სკოლაში ირიცხება სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოსწაავლეები, გამომდინარე გარემოებიდან, სკოლა ორიენტირებულია მათ შეუქმნას თანასწორი გარემო განათლების მისაღებად. სასკოლო სასწავლო გეგმაში ნათლად არის გაწერილი თუ რა მექანიზმით ადგენს სკოლა მოსწავლის სწავლის სირთულეების იდენტიფიცირებას და ამ სირთულეებთან დაკავშირებული შედეგების ანალიზს.ასევე აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია რა მეთოდით ახორციელებს მოსწავლეთა სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მართვას.

კრიტერიუმი 4.2.1.3. დამაკმაყოფილებელი.

4.სკოლის მხრიდან მოსწავლესთან მიმართებაში ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება გონივრულ ვადებში. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება კლასების დაკომპლექტება და დამრიგებლების დანიშვნა. მნიშვნელოვანია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის ასახვა, რასაც სკოლა შეუფერხებლად ახორციელებს. ხდება ისგ ჯგუფების შექმნა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობის დაწყება. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მზაობა დაუნიშნოს მოსწავლეს სემესტრული გამოცდა. ასევე გამართულად წარმართოს ექსტერნის გამოცდა. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების დაცვით ხდება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, რაც აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. კრიტერიუმი **4.2.1.4.** დამაკმაყოფილებელი.

5.ფორმალურ განათლებასთან ერთად სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები:მეწარმეობი, ევოკლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი.სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი არაფორმალური განათლების ფარგლებში.პროექტების განხორციელებისას სკოლა აქტიურად ღთანამშრომლობს, როგორ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებთან.,,კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვის ცენტრი"-ის მიერ, რომლის მხარდამჭერია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სკოლაში განხორციელდა ენერგო დაცვის პროექტი, მთლიანად შეიფუთა სკოლა თბოსაიზოლაციო მასალით და გაკეთდა სკოლის გარე ფასადი, რის შედეგადაც სკოლაში იზოგება ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ხარჯი, საკლასო ოთახები აღიჭურვა თანამედროვე ვენტილიატორებით, რომელიც იმართება პულტის საშუალებით.სკოლა აქტიურად არის ჩართული eTwinning-ის პროგრამაში, სკოლის

მიერ განხორციელებულმა ორმა პროექტმა: Love letters 2 , Our happy future მიიღო ხარისხის ნიშანი სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი,,კრეატივი".

ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებული.

6.მოსწავლეთა მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად სკოლა ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების წევრების უკუკავშირის ანალიზს. უკუკავშირი შეიძლება მიღებული იქნას წერილობითი ან ზეპირი ფორმით. წერილობითი ფორმით შეიძლება გამოიხატებოდეს მასწავლებელთა ანგარიშებში ან კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმეში. ზეპირი სახით კი მშობელტა კრებებზე გამოთქმულ მოსაზრებებში, დამრიგებლის მიერ კლასის საათის ჩატარების დროს, სოციალურ ქსელში დაფიქსირებული პოზიციით ან პირისპირ შეხვედრების დროს.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სკოლის ხელშეკრულება მშობელთან;
- ცეკვის წრის სამოქმედო გეგმა და აღწერილობა;
- ცეკვის წრის მასწავლებლის ხელშეკრულება;

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროგრამა. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის სადამრიგებლო პროგრამის ერთერთი ძირითადი მიზანია სამეწარმეო უნარების განვითარება და ინიციატივების წახალისება. სადამრიგებლო

პროგრამებში გაწერილია , დამრიგებელი საათზე საუბრები მოსწავლეებთან საინტერესო პროფესიის შესახებ. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯ ,,სპექტრთან''.იგეგმება მოსწავლეთა ვიზიტი არაფორმალური განათლების კუთხით სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში.

სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს შესაბამისი დოკუმენტი რომლის მიზანი იქნება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სწორად დაგეგმვა, მოტივაციის ამაღლება, ტექნოლოგიური ცოდნის და ინტერესების გაღრმავება და თანამედროვე, მოთხოვნადი პროფესიით მოსწავლეთა დაინტერესება. ინდიკატორი **4.2.2.1.** დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს დამათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით: სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ პროფესიულ სასწავლებელს, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის; დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სიახლეებს; დამრიგებლები ატარებენ კლას საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად, განსაკუთრებით დამამთავრებელ (მეცხრე, მეთერთმეტე, მეთორმეტე) კლასებში;

ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მუდმივად იკვლევს სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს და მათ შედეგებს ითვალისწინებს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში.  სკოლა ხშირად იწვევს მოსწავლეებთან შეხვედრაზე სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ მოსწავლეებს (მაგალითად, შეხვედრა კადეტთა კორპუსის კურსდამთავრებულ, თავდაცვის აკადემიის სტუდენტთან შეხვედრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან).ინდიკატორი **4.2.2.3.** დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი კოლეჯთან; უნივერსიტეტებთან
- სკოლის კურსდამთავრებულებთან მოსწავლეების შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა.

**4.2.3.** სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საჭიროებისა ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ და შშმ მოსწავლეთა მხარდასაჭერად, სკოლის პირველ სართულზე დამონტაჟებულია ლიფტი,სათანადო რესურსებითაა აღჭურვილი რესურს ოთახი, იმავე სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ირიცხება 21 სხვადასხვა მენტალური დარღვევის მქონე სსსმ მოსწავლე. მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სემესტრში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში.თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბოლოს დებს დასკვნას.სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები.ინდიკატორი **4.2.3.1.** დაკმაყოფილებულია

2.სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ფსიქოლოგი და სპეც მასწავლებლები აფასებენ თითოეული სსსმ მოსწავლის კოგნიტურ, აკადემიურ, სოციალურ და ფუნქციონალურ უნარებს. პედაგოგებთან და დამრიგებელთან ერთად ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ქმნიან საგანმანათლებლო რესურსებს.ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმას, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ.კათედრებს შემუშვებული აქვთ მოდიფიცირებული სასწავლო კურიკულუმები სსსმ მოსწავლეთათვის, აქტიურად რთავენ მათ სხვადასხვა სასკოლო პროექტებსა და ღონისძიებებში. თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული მათი ნამუშევრები. ინდიკატორი **4.2.3.2..** დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- სკოლაში ინკლუზიური განათლების გარე დაკვირვების კითხვარი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელი უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლის დირექტორის 2023 წლის 13.09.–ის ბრძანება MES 5230000000537–ით შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით, ცეკვის, სიმღერის და გახანგრძლივებული ჯგუფის წრეები. იჯარის ფორმით, კანონმდებლობის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს თანხმობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობით, აუდიტის დასკვნის შესაბამისად, აუქციონის ჩატარებით გამოვლენილ გამარჯვებულ პირზე სამი წლის ვადით იჯარით გაცემულია ფართი სასკოლო კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის. სადაც კანონმდებლობის შესაბამისად ხდება პროდუქციის დამზადება და გაყიდვა.ინდიკატორი **4.2.4.1.** დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით. გაწეული მომსახურება ხელსუწყობს მოსწავლის განვითარებას..ინდიკატორი **4.2.4.2.** დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის მიერ განხორციელებული არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით.გაწერილია წრის სასწავლო გეგმა, გაფორმებულია პედაგოგებთან და მეიჯარესთან ხელშეკრულებები,რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი მათია ვალდებულებები..ინდიკატორი **4.2.4.3.** დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები.

- 2022 წლის იჯარის ხეშეკრულება ი/მ ს.თ.–სთან N12;
- იჯარით გაცემული ფართის დოკუმენტაცია;.
- არასავალდებულო დამატებითი მომსახურების სასწავლო პროგრამები.

შეფასება:

o გთხოვთ, აასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალკალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>დაწყებითი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე–2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კათედრებთან ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობის დროს გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სსიპ ქ. თბილისის N107 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ‘‘კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების დ განვითარების მეთოდოლოგიები’’. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავება ხდება ძირითადად მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით და ითვალისწინებს სკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: ჩატარებული ღონისძიებები, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილები და რეფლექსიები, მოსწავლეთა შედეგები, კათედრების მუშაობა. ამასთან მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებისას, სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; ესენია: პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე; კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე;

ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. გასაუბრებითა და კათედრის სხდომის ოქმით, სადაც N4 საკითხად განხილულია კურიკულუმების შექმნა, დასტურდება, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუძველზე. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

საგნობრივ კათედრებზე ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებენ პარალელური კლასების მასწავლებლები ერთობლივად და განსახილველად წარადგენენ კათედრაზე. სკოლას აქვს წარმოდგენილი 2023–2024 სასწავლო წლის საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის N1 ოქმი, სადაც ერთ–ერთ საკითხად სწორედ კურიკულუმებია განხილული. ჩანს კათედრის წევრების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცებულია სასწავლო წლის დასაწყისში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე და ასევე კათედრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ნამდვილად ახორციელებენ განვლილი წლის კურიკულუმების განხილვას და ცვლილებებს შეტანას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ქალაქ თბილისის N107 სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს საკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. დაწყებითი საფეხურის კათედრასთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და აღწერეს სკოლის პრაქტიკა იმის შესახებ, რომ სასწავლო წლის დასწყისში, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობებენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ეთიკის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლები გამოირჩევიან ინტერესით და მათთან დეტალურად ხდება დაგეგმილი სასწავლო პროცესების, მისაღწევი მიზნების, აქტივობების თუ შეფასების რუბრიკების განხილვა. კათედრის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ 2023-2024 სასწავლო წელს შეინარჩუნებენ არსებულ პრაქტიკას და გეგმავენ კურიკულუმი გაუზიარონ სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს – კათედრაზე და მშობლებს – მშობელთა კრებაზე; მიღებულ უკუკავშირს და მათ შეხედულებებს გაითვალისწინებენ შემდგომი დაგეგმვის პროცესში.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u> დასაბუთება

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- სსიპ – ქალაქ თბილისის N 107 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.

**2.1.2.** კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ეფექტური უნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სახელმწიფო ენა - დაწყებითი საფეხურის სახელმწიფო ენის კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის. მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები და კომპლექსური დავალების ბარათები, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას შეუწყობს ხელს. წარმოდგენილია შესრულებული კომპლექსური დავალების ანალიზი, რაც ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გაზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარებისა განვითარებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

მათემატიკა – მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული. რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად

გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუს დროს გაცემული პასუხებით, მათმატიკის სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, შეიძლება ითქვას, რომ დავალების ძირითადი საკითხები, რომლებსაც მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად;"შოკოლადის ფილის განაწილება", "რწყილი და ჭიანჭველა", ,,ყვავილების ორანჟერეა" და სხვა) ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მზაობისა შესაბამისად.

უცხოური ენები –წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე უცხოურ ენაში (პირველი და მეორე უცხოური ენა), 2023–2024 სასწავლო წლისთვის წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში შეტანილი თემატური ერთეულები და შუალედური მიზნები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. კონტექსტ–მაგალითები მოაზრებს მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენას და ინტერესის გამოწვევის პრაქტიკულ მაგალითს. ინგლისური ენის IV კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი შუალედური მიზანი: დიორამის შექმნა და პრეზენტაცია საყვარელი ცხოველის და მისი საცხოვრებელი გარემოს შესახებ, წარმოადგენს მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინების თვალსაჩინო ნიმუშს. დავალებაში წარმოდგენილი ქვესაკითხები მიემართება გრძელვადიან, ცოდნის სამივე კატეგორიაზე მორგებულ პროცესს. შეთავაზებული რესურსები (კონტექსტ მაგალითის და მაგალითი შედარებისთვის) საინტერესო და ასაკზე მორგებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე ბუნებაში 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში შეტანილი თემატური ერთეულები და შუალედური მიზნები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. კონტექსტ–მაგალითები მოიაზრებს მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენას და ინტერესის გამოწვევის პრაქტიკულ მაგალითს ბუნების V კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი შუალედური მიზანი: როდესაც მოსწავლეები საკითხის "კვებითი ჯაჭვი" დამუშავების პროცესში ქმნიან ფოტო კოლაჟს, ასევე საკითხის "მზის სისტემა" დამუშავების დროს სარეკლამო ბუკლეტს, როდესაც მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ მათთვის სასურველი პლანეტა მზის სისტემიდან და მოამზადონ მის შესახებ სარეკლამო ბუკლეტი, წარმოადგენს მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინების თვალსაჩინო ნიმუშს. დავალებაში წარმოდგენილი ქვესაკითხები მიემართება გრძელვადიან, ცოდნის სამივე კატეგორიაზე მორგებულ პროცესს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებებში დაწყებით საფეხურზე შემოთავაზებული კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და პასუხობს საფეხურის მოთხოვნებს, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კომპლექსური დავალებები წარმოადგენს შუალედურ მიზანს გრძელვადიანი მიზნებისკენ, კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების საფუძველზე, მათი ასაკის და წინარე ცოდნის გათვალისწინებით.

ტექნოლოგიები - დაწყებით საფეხურზე საგნობივი კურიკულუმები პასუხობს ამ საფეხურზე მყოფი მოსწავლეების მოთხოვნებს და საგანმანათლებლო მოთხოვნებს. ეხმარება, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები, ყოველივეს კი განაპირობებს ის, რომ სკოლაში არიან მაღალი დონის პედაგოგები, რომლებიც გამუდმებით სწავლობენ, რათა ასწავლონ. სასწავლო პროცესი არის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული (სტანდარტის შედეგზე), სადაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და ზუსტად ეს ეხმარება მოსწავლეებს განვითარებაში. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე ორიენტირება და

შუალედური მიზნების გათვალისწინება განაპირობებს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. მართლაც, ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები პროცესის დაგეგმვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.

*ფიზიკური აღზრდა და სპორტი* – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაწყებითი საფეხურის 1–6 კლასების წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი.

*მუსიკის* კურიკულუმების ჩარჩო წარმოდგენილია თემატური ბლოკებით, შესაბამისი თემებითა და სამიზნე ცნებებით და კომპლექსური დავალებებით. მასში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და შედგენილია ახალი, გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით.

*ესთეტიკური აღზრდა* - ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია თემატური ბლოკების მიხედვით თემები, თემებთან დაკავშირებული საკითხი, გამოყოფილია სამიზნე ცნებები და ის ქვეცნებები, რომელიბიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართებით, წინასწარაა გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისადაა შერჩეული, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. თუმცა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში I კლასში არ არის წარმოდგენილი ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილი კურიკულუმი , მასში გაწერილია მხოლოდ სამი თემა, რომელიც არ ფარავს სასწავლო წელს; II კლასში ასევე არ არის წარმოდგენილი ახალი, გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილი კურიკულუმი და მასში მხოლოდ ორი თემაა წარმოდგენილი; III კლასში წარმოდგენილია ორი თემა; IV,V,VI - კლასების კურიკულუმები წარმოდგენილია თითო თემის სახით. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო წლის განმავლობაში თემატური ბლოკების ფარგლებში ხუთი–ექვსი თემა შედის, რომელიც მთლიან სასწავლო წელზეა გადანაწილებული.

სკოლამ არ [illegible] ექსპერტთა პოზიცია და დადასტურდა, რომ მათ ჰქონდათ შესაბამისი კურიკულუმი ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი, თუმცა [illegible] დროს ექსპერტს არ ჰქონდა საშუალება გაეცნო [illegible] კურიკულუმებს. [illegible] ერთად წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა როგორც სრულად შესაბამისი

**ინდიკატორის დემონსტრირება:**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), [illegible], სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სახელმწიფო ენა – კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც უმეტესად დამუშვებულია ყველა სამიზნე ცნება. კათედრის გამოგზავნილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, მდიდარი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ– ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტები ( ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს გეგმავენ სასწავლო პროექტების განხორცილებას) თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

მათემატიკა - კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეულია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. დაწყებითი საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21–საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ –კომპონენტური უნარი) – კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა – განვითარებაზე.

უცხოური ენები - 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებული კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსულ და ინგლისურ ენებში) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან, რასაც მოწმობს დაგეგმილი პროექტული ტიპის დავალები და აქტივობები. მასწავლებელთან გასაუბრების დროს და გასული სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალების ანალიზის შედეგად ივკვეთება, რომ მასწავლებლები კარგად იცნობენ სასწავლო ესგ–ის გრძელვადიან მიზნებს, აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების კარგი პრაქტიკა. სკოლა ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელში“ 2020 წლიდან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებული კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (ბუნების) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან, რასაც მოწმობს დაგეგმილი პროექტული ტიპის დავალები და აქტივობები. მასწავლებელთან გასაუბრების დროს და გასული სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალების ანალიზის შედეგად რომელიც თავად პედაგოგებმა დეტალურად განიხილეს თუ რომელი კომპლექსური დავალებები განახორციელეს გასულ წელს

და ახლა რომელი დავალებებით ჩაანაცვლებენ იკვეთება, რომ მასწავლებლები იცნობენ გრძელვადიან მიზნებს, რომელი კონკრეტული სუალედური მიზანი მიიყვანთ მათ გრძელვადიან მიზნებამდე. მათ აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების პრაქტიკა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – საზ. მეცნიერებებში კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები ძირითადად სწორად არის შევსებული. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. რესურსები კომპლექსური დავალებების შესაბამისადაა შერჩეული და მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებლად სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. დაწყებითი საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ორინეტირებულია ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ –კომპონენტური უნარი) – კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა – განვითარებაზე.

ტექნოლოგიები – წარმოდგენილ კურიკულუმში კარგად იკვეთება, რომ ტექნოლოგიები ემსახურება მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. კურიკულუმი პასუხობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეყრდნობა მოქმედ ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებსლ. პედაგოგებთან ინტერვიურებისას კი გამოიკვეთა, რომ მათ ბოლომდე აქვთ გათავისებული სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ტექნოლოგიების I-VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოები აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ კათედრას ნათლად აქვს გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები და მისკენ მისასვლელი შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებებისა და პროექტების სახით. კარგად ჩანს ის ნაბიჯები, რომლებიც ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების, მაკრო ცნებების, სამიზნე ცნებებს დამუშავებას. დაწყებით საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებას დაწყებითის მასწავლებელბი ასწავლიან, პედაგოგები კათედრაზე ერთობლივად ამუშავებენ კომპლექსური დავალებების პირობებს, სადაც გამოკვეთენ იმ შუალედურ მიზნებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა გათვლილი.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.

<u>სტანდარტი დამაკმაყოფილებელია.</u>

სტანდარტი **3.** სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დივერსიფიცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენა – სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ქართული ისგ), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება, წერია სასკოლო სასწავლო გეგმაში. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კარაგ იცნობენ ინკლუზიურ და

დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს (მაგ.: RAFT) და ხშირად მიმართავენ სასწავლო პროცესში. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან გამომდიანრე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე. სპეციალური საჭიროების მოსწავლებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მსგავსი სტრატეგიებით, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ასევე აღნიშნეს, რომ უნდა გაუმჯობესდეს და დაინერგოს მიდგომა, რომ კლასში მოსწავლეებმა იმუშაონ ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხისა და კონტექსტ–მაგალითს უნდა ეხებოდეს. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საერთო განხილვებსა და მსჯელობებში ყველას ჩართულობას, მეორე მხრივ – განსახილველი საკითხის მრავალმხრივ გააზრებას.

უცხოური ენები – 2023–2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოდან და გასაუბრებიდან იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება უცხოური ენის დაწყებით საფეხურზე. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. წარმოდგენილი შუალედური მიზნები კომპლექსური ბუნებისაა, ეს კი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება თემის ირგვლივ. მასწავლებელს კი აქვს დავალებების მოდიფიცირების და ადაპტირების საშუალება. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ უცხოური ენის კათედრა მოსწავლეების საჭიროებებს მუდმივად ითვალისწინებს, აქტივობები და რესურსები განისაზღვრება და ადაპტირდება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. ინგლისური ენის მასწავლებელმა გაგვიზიარა მეთოდი, როგორ იყენებს შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდს ნიჭიერი მოსწავლეების წახალისების და მოტივაციის გაზრდის მიზნით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრასთან გასაუბრებიდან და ასევე კურიკულუმის ჩარჩოდან იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება ბუნების დაწყებით საფეხურზე. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. წარმოდგენილი შუალედური მიზნები კომპლექსური ბუნებისაა, ეს კი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება თემის ირგვლივ. მასწავლებელს აქვთ დავალებების მოდიფიცირების და ადაპტირების პრაქტიკა, რაც ასევე სპეც პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა. საბუნებისმეტყველო კათედრა მოსწავლეების საჭიროებებს მუდმივად ითვალისწინებს, აქტივობები და რესურსები განისაზღვრება და ადაპტირდება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – ფსიქოლოგებთან თანამშრომლობით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. შეფასების სისტემა, მონიტორინგი, ანალიზი. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები, ფსიქოლოგები , მოსწავლეები და მათი მშობლები. ადმინიტრაცია აქტიურად უჭერს მხარს მათ სასწავლო კურიკულუმის განხორციელებაში. საზოგადოებრივ მეცნიერებებში არსებობს გამოცდილება დავალებების ფორმირების მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ამ კუთხით

მეტად აპირებენ მუშაობის განვითარებას, რადგან აქამდე აქტიურად არ ხდებოდა გამოცდილების გაზიარება ამ საკითხში კათედრებს შორის, რასაც აუცილებლად გამოასწორებენ.

ტექნოლოგიები –მასწავლებლებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით იკვეთება, რომ პედაგოგები იცნობენ და საკუთარვ პედაგოგიურ პრაქტიკაში იყენებენ მოსწავლეზე მორგებულ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებთან მუშაობისას იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს. კურიკულუმებში გაწერილი აქვთ ალტერნატიული აქტივობები. ეფექტურად იყენებენ განმავითარებელ კომენტარს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარების პროგრესს და ამაღლებს მის შინაგან მოტივაციას.

ესთეტიკური აღზრდა – სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც საგნის მასწავლებელთან მოსწავლესთან დაკავშირებული სირთულეებისას გადის დამატებით კონსულტაციებს ,რის შედეგადაც არსებული პრობლემის გადაწყვეტა ხდება. სპეციალური მასწავლებლები კონსულტაციას უწევს, როგორც საგნის მასწავლებლებს ასევე სსსმ მოსწავლის და ასევე სხვა მოსწავლეების მშობლებს.ესთეტიკური აღზრდის კათედრასთან ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ დიფენებცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რაც გამოიხატება სხვადასხვა ტიპის დავალებებში.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ თბილისის N 107 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;

სახელმწიფო ენა - სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დართული აქვს I–IV კლასის კურიკულუმებს, V და VI კლასის კურიკულუმებშიში დაგეგმილი კომპლექსური დავლებების შეფასების რუბრიკები ცალკეა გადმოგზავნილი), რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე ქართულ ენაში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

მათემატიკა – წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კათედრის მათემატიკის პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ განმავითარებელი შეფასებას, აქტივობებზე მორგებულ რუბრიკებსა და ინსტრუმენტებს. (ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, სოლო ტაქსონომია); პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე–5 და მე–6 კლასებისთვის) შეფასების რუბრიკების გამრავალფეროვნებას თითოეული თემის ფარგლებში, სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით, ამის მზაობა მათ ნამდვილად გააჩნიათ.

უცხოური ენები – უცხოური ენის დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა შესაბამისობაშია გრძელვადიან მიზნებთან. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების სანიმუშო რუბრიკები თემის ფარგლებში მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს.ასევე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში მე–6 კლასის რუსულ ენაში საკითხით – პოსტერის პრეზენტაცია თემაზე:" Приятного аппетита, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გააზრებისკენ ორიენტირების მაგალითს წარმოადგენს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დართული აქვს V კლასის კურიკულუმებს, V კლასის კურიკულუმებშიში დაგეგმილი კომპლექსური დავლებების შეფასების რუბრიკები ცალკეა გადმოგზავნილი), რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე ბუნებაში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე—5 კლასის მეორე სემესტრსა და მე—6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023—2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – სკოლა იყენებს სამ–კომპონენტიან შეფასებას: საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას. განმავითარებელი შეფასება აქტიურად გამოიყენება კომპლექსური დავალების შესაფასებლად (შუალედური მიზანი). შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და შეფასება არის სანდო, ვალიდური და გამჭირვალე. შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ტექნოლოგიები –წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ განმავითარებელი შეფასებას, აქტივობებზე მორებულ რუბრიკებსა და ინსტრუმენტებს. (ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, ტაქსონომია), პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე–5 და მე–6 კლასებისთვის) შეფასების რუბრიკების გამრავალფეროვნებას თითოეული თემის ფარგლებში, სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით, ამის მზაობა მათ ნამდვილად გააჩნიათ და შემოგვთავაზეს კიდეც სხვადასხვა თემებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ესთეტიკური აღზრდა - სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემა. სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. I–IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში ანხორციელებს განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს, ყურადღება გამახვილდა შეფასების კრიტერიუმებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების დროს ისინი კრიტერიუმებად გამოყოფენ ის სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს, რომელის დამუშავებაც ხდება საკითხთან და თემასთან მიმართებაში. წარმოდგენილ კურკიკულუმებში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. მკაფიოდ არის გამოკვეთილი ის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლის დამუშავებაც ხდება კონკრეტული თემის თუ აქტივობის დროს.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებებთან მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან დაკავშირებით, სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელშიც არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა – კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. ამას მომწმობს დაწყებით საფეხურაზე გამოყენებული სახვადასხვა ტიპის სადიაგნოსტიკო ტესტები (G–pried), შესრულებული კომპლექსური დავალება, ჩატარებული გაკვეთილის რეფლესიები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გეგმავენ შემდგომ სასწავლო აქტივობებს. ეს გასაუბრების დროსაც დაადასტურეს. ასევე, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

მათემატიკა – წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მათემატიკის მიმართულებით დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. თვითშეფასების კითხვარის და გასაუბრების თანახმად დაგეგმილია მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა უკუკავშირისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდეს კურიკულუმის გადამუშავება, წარმატებული გამოცდილების საფუძველზე იცვლება და იხვეწება სასწავლო გეგმა. პირველ რიგში, ეს ეხება კომპლექსური დავალების პირობასა და აქტივობებს, ამ ეტაპზე, კურიკულუმში კომპლექსური დავალებების იდეების სახით ასახულია მასწავლებელთა წინარე პრაქტიკული გამოცდილება.

უცხოური ენები – თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე გასაუბრების თანახმად დგინდება, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს წინა წლის გამოცდილებას. კათედრას აქვს პრაქტიკა და მოტივაცია სასწავლო პროცესის პარალელურად დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს კურიკულუმის შინაარსი, გამომდინარე მიმდინარე პროცესებიდან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – გასაუბრების თანახმად დგინდება, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს წინა წლის გამოცდილებას.კათედრას აქვს პრაქტიკა და მოტივაცია სასწავლო პროცესის პარალელურად დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს კურიკულუმის შინაარსი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება ანალიზის საფუძველზე, კერძოდ ჩატარებული გაკვეთილის, განხორციელებული აქტივობის რეფლექსიის დაყრდნობით. წინა წლის კომპლექსური დავალების შესრულების რეფლექსიის საფუძველზე ხორციელდება ახლის შექმნა. ასევე დიაგნოსტირებისთვის შეირჩა პირველი მოდელი.

ტექნოლოგიები –საგნის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს შესასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას, ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და ანალიზს უკეთებენ უკვე განხორციელებულ სასწავლო პროცესს. ამის მაგალითად მასწავლებლებმა გასულ წელს განხორციელებული პროექტები გაიხსენეს და აღნიშნეს , რომ ამ პროექტების მოდიფიცირებული ვარიანტების განხორციელებას აპირებენ წელს, სადაც უკეთ იქნება გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წინარე გამოცდილება, ასევე განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი გათვალისწინებულია.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- დაწყებითის კურიკულუმები - ესთეტიკური კათედრა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- ინსტრუმენტები მიმდინარე შეფასებისთვის;
- 107–ე საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე უცხოურ ენაში;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები პირველ და მეორე უცხოურ ენაში;

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები პირველ და მეორე უცხოურ ენაში;
- შეფასების რუბრიკები საზ.მეცნიერებებში;
- კურიკულუმები საზ. მეცნიერებებში;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- კომპლექსური დავალების ანალიზი;
- ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები.

შეფასება:

- გთხოვთ ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

### 2.2. კურიკულუმის განხორციელება

#### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემეცნებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და

ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემეცნებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა – დაწყებითი საფეხურის კათედრაზე კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. დაწყებით საფეხურზე არსებული კლუბი, ჩატარებული შემოქმედებითი აქტივობები დედაენისა და დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ჩტარებული ღონისძიებები მოწმობს, რომ სახელმწიფო ენის კათედრა მაქსიმლაურად ცდილობს მოსწავლეთა აქტურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას (ასახულია დწყებითი კათედრის შემაჯამებელ ოქმში). გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა გეგმავს სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალებით სასწავლო პროცესის წარმართვას. ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაში ერთ–ერთ საკითხად გაწერილია სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შეთავაზება, რაც, ასევე, მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყობს ხელს.

მათემატიკა – ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ითვალისწინებნ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო–სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა; მაგალითად: საგნის კურუკულუმის შესწავლის დროს იდეა/კონტექსტ მაგალითების ველში ხშირად გვხდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ‘‘დაეხმარე რწყილს’’, ‘‘შეარჩიე ოპტიმალური ვარიანტი ტურისტებისათვის’’, ‘‘დახატე გეომეტრიული ფიგურა’’, რაც ცალსახად გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები არიან ჩართული შემოქმედებითი პროცესებში. ასევე ეს გარემოება დადასტურდა საგნის მასწავლებლებელთან ინტერვიუს დროს დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში.

უცხოური ენები - 2023-2024 სასწავლო წლისთვის უცხოური ენის კათედრას დაწყებითი საფეხურისთვის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოების ანალიზში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლეების აქტიური ჩართვის საშუალებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები არის კარგი საშუალება მოსწავლეების შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის და მოტივაციის ამაღლებისთვის. თუმცა, წარმოდგენილ თემებს აკლია კომპლექსური ტიპის აქტივობები/დავალებები, რათა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მაქსიმალურად გამოიკვეთოს.

რჩევა: სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვის შესაძლებლობის გაზრდისთვის დაგეგმოს მეტი პროექტულობის/შინაარსის დავალებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – მიმდინარე სასწავლო წლისთვის დაწყებით საფეხურზე, ბუნების კურიკულუმის ჩარჩოების ანალიზში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლეების აქტიური ჩართვის საშუალებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები არის კარგი საშუალება მოსწავლეების შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის და მოტივაციის ამაღლებისთვის. აღსანიშნავია რომ, წარმოდგენილ თემებს აკლია კომპლექსური ტიპის აქტივობები/დავალებები, რათა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მაქსიმალურად გამოიკვეთოს. კურიკულუმებში ჩანს კომპლექსური დავალებები, მაგრამ არა ყველა თემაში, თუმცაღა კათედრაზე მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ აპირებენ კომპლექსური დავალებების შეტანას თითქმის ყველა თემაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლეების აქტიური ჩართულობის და შემოქმედებითობის საშუალებას; გარდა კომპლექსური დავალებებისა, რომლებიც მოსწავლეებში აღვიძებს ამ უნარებს, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობას, ღონისძებას, ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

ტექნოლოგიები –ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო–სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.ასევე ეს გარემოება დადასტურდა საგნის მასწავლებლებელთან ინტერვიუს დროს დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში.

ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური აღზრდის კათედრამ წარმოადგინა სკოლაში არსებული მუსიკალური წრის, ასევე სხვადასხვა აქტივობები სპექტაკლების, მუზეუმებიში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელში ჩანს, ის შემოქმედებითი აქტივობები, რასაც სკოლა ატარებდა გასულ წლებში. სკოლის ფოიეში ეწყობა სხვადასხვა სახის გამოფენები, კომპლექსური დავალებების დროს შექმნილი ნამუშევრების პრეზენტაცია–გამოფენები, რაც ცხადყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულები შემოქმედებით პროცესში.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – დაწყებითი საფეხურის 1–6 კლასის კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და დაწყებით საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მოძრავი თამაშები მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ხელბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის ტექნიკური ელემენტების გამოყენებით, პროექტის მომზადება და პრეზენტაცია უსაფრთხოების და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე) რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს – იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

<u>ინდიკატორის დემონსტრირება.</u>

ინდიკატორი **2.** ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სახელოვნება – კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. 2023–2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი უფრო მეტი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

მათემატიკა – პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობს მოსწავლეები თანდათან მიიყვანოს ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. (II პრინციპი – ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით). ამისათვის მასწავლებლები იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო

აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა დიდ შანსს იმისას, მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად, პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ მათი ცოდნა–გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტ–მაგალითებს (ცერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა–გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მაგალითად, ,,ყვავილების ორანჟერეა“, ,,რწყილი და ჭიანჭველა“, ,,ტანგრამი“ და სხვა, ეყრდნობიან მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნანახ ფილმებს, ნასწავლ ტექსტებს, უფროსების ნაამბობს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იგებენ და ითავისებენ ახალს.

**უცხოური ენები** - უცხოური ენის დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულ თემებსა და კომპლექსური დავალებების პირობებში ჩანს, რომ მოსწავლის წინარე ცოდნა არის გათვალისწინებული და მასზეა დაფუძნებული. აგრეთვე, თვითშეფასების ფორმაში მოცემულია ინფორმაცია, როგორ ითვალისწინებს დაწესებულება მოსწავლეთა გამოცდილებას და ცოდნას დაგეგმვის პროცესში.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** – კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. 2023–2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი უფრო მეტი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მასწავლებლები მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალსიწინებით ახორციელებენ ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ამისთვის იყენებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზებს, სადიაგნოსტიკო ტესტებს, ზეპირ გამოკითხვას; წარმოდგენილ კურიკულუმებში თითეული თემა, კომპლექსური დავალება ისეა გაწერილი, რომ დაკავშირებულია უკვე განვლილ მასალასთან. მოსწავლეს უწევს წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე ახალი ცოდნის დაშენება.

**ტექნოლოგიები** – პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობს მოსწავლეები თანდათან მიიყვანოს ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. (II პრინციპი – ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით). ამისათვის მასწავლებლები იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა დიდ შანსს იმისას, მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს თავაზობენ მათი ცოდნა–გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტ–მაგალითებს. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერული თვალსაზრისით. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე, რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

**ესთეტიკური აღზრდა** - კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და კონტექსტ მაგალითები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. აქცენტი კეთდება მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტებზე, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს კომპლექსური დავალების

შესრულება.მაგ.:სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე მუსიკის წარმოდგენილ კურიკულუმებში თითეული თემა,კომპლექსური დავალება ისეა გაწერილი, რომ დაკავშირებულია უკვე განვლილ მასალასთან. მოსწავლეს უწევს წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე ახალი ცოდნის დაშენება.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება–გააზრებას გავლილ თემებში შესწავლილი ტექნიკური ელემენტები დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი თემების შესწავლის პროცესში. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

<u>ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.</u>

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სახელმწიფო ენა – დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, გასასვლელ ბარათებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები.

მათემატიკა - დაწყებით საფეხურზე სწავლის სწავლა გათვალისწინებულია კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების შესრულებისას შერჩეულია მიზნის შესაბამის აქტივობებს; მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელ შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადადგა დავალების შესრულებისას. მათ დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ განხორციელებულ დავალებაზე, რაც მეტაკოგნიციას აუმჯობესებს.

უცხოური ენები -2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უცხოურ ენაში თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც მოსწავლეს აფიქრებს თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი. დაგეგმონ, განახორციელონ, მიიღონ უკუკავშირი და გააუმჯობესონ მიღებული შედეგი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სწავლების

პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, გასასვლელ ბარათებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეები ახორციელებენ განვლილი სამუშაოს თვითშეფასებას კითხვარის გამოყენებით თითოეული თავის დასრულების ან კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ, რა ვიცოდი? რა ხერხები გამოვიყენე მიზნის მისაღწევად? რა გავიგე? რა რესურსი გამოვიყენე? ამ გზით მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის დაკვირვებისა და მართვის უნარები.

ტექნოლოგიები – სკოლა წარმოაგენს ხედვას სამომავლოდ თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ყოველივე მკაფიოდ იკვეთება ინტერვიუს დროს. მასწავლებლები საუბრობენ თუ როგორ უნდა იქნეს წახალისებული სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მოსწავლემ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ხედვა, მომდევნო (საბაზო) საფეხურზე როგორ შეიძლება უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრვალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება.

ესთეტიკური აღზრდა – კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა–სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხვავებული უნარ–ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

<u>სტანდარტი დამაკმაყოფილებელია.</u>

**სტანდარტი 4.** სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე **(დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული);**

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროქტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებითად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

მათემატიკა – სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სასწავლო კურიკულუმები შეიქმნა მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

უცხოური ენები - უცხოურ ენაში დაწყებით საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილ კურიკულუმსა და შუალედურ მიზნებში იკითხება ცოდნის სამივე კატეგორია. დეკლარატიული ცოდნა - მოსწავლის წიგნსა და სამუშაო რვეულში მოცემული დავალებები; პროცედურული - სამუშაო რვეულის დავალებები; პირობისეული ცოდნა – კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტის შექმნა და წარდგენა. მაგალითად. მე–5 კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება „ტურისტებისთვის განკუთვნილი სარეკლამო ბროშურის მომზადება და წარდგენა" მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას მოიაზრებს ტექსტის (პრეზენტაციის), ენობრივი საშუალებების და სამეტყველო ქმედებების ცნებების დამუშავების გზით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები –კურიკულუმები ისეა აგებული და დავალებებიც შერჩეული, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რა იცის მოსწავლემ, როგორ შეასრულოს და რა პროცედურები განახორციელოს მიზნის მისაღწევად და რაში გამოიყენებს მიღებულ ცონდას. მოსწავლეს შუძლია მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ.

ტექნოლოგიები – სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს, მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. სასწავლო კურიკულუმები შეიქმნა მსგავსი კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით, რომლებითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ საგნობრივი საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული , რაც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა–სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა – ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, თვალსაჩინოებაზე (ილუსტრაცია,მუსიკალური ნაწარმოები) დაკვირვებით, მსჯელობით ცოდნის პირველი კატეგორია მუშავდება, შემდეგ პრაქტიკული სამუშაო მეორე კატეგორიის დამუშავების საშუალებას იძლევა, ხოლო პრეზენტაცია/დისკუსია საკითხის განზოგადებას უწყობს ხელს.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** – დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

**სახელმწიფო ენა** - სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს სხვა საგნებთან ინტეგრირებულად დაგეგმილი სასწავლო აქტივობები. გადმოგზავნილ დოკუმენტაციაშია ქართული ენისა და ლიტერატურისა და ბუნებისმცოდნეობის ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა თემაზე: ჯანსაღი კვება; ლ. ქისტაურის მოთხრობა ,,ოფოფების წვეულება‘‘. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას. სწავლა-სწავლების პროცესი აგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, შესაბამისად, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე.

**მათემატიკა** – სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს ,,უკუსვლით დაგეგმვის‘‘ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, ვისურვებდი უფრო მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ აჩვენა, რომ დაწყებითების კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა (მათემატიკა და ხელოვნება საგნებს შორის, მათემატიკა და ბუნებისმეტყველების საგნებს შორის).

**უცხოური ენები** - 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები უცხოურ ენაში ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, მეორე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება – პრეზენტაცია შესრულებული ნახატის შესახებ თემაზე: ჩემი სამეცადინო მაგიდა, კარგ მაგალითს წარმოადგენს. ამასთანავე, გასულ სასწავლო წელს სკოლაში მე-5 და მე-6 კლასებში ინგლისურ ენაში განხორციელდა ვიქტორინა სახელწოდებით ,,Smart Competition'', სადაც მოხდა შეძენილი ცოდნის (როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური) ცოდნის თავმოყრა და ორგანიზება.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ბუნებაში ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, მე-5 კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება-პრეზენტაცია სარეკლამო პოსტერის შესახებ. თემა: კოსმოსი.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**- სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ მიზნის მისაღწევად სკოლა იყენებს კომპლექსურ დავალებებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს ასევე სხვადასხვა პროექტებს.რა დროსაც ხდება ცოდნის მობილიზება მოსწავლეთა მიერ. მოსწავლე განსაზღვრავს საჭიროებებს. რა სჭირდება მას კონკრეტული დავალების შესრულების დროს. სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს მოსწავლეს სწავლის ორგანიზებაში.

**ტექნოლოგიები** – სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს ,,უკუსვლით დაგეგმვის‘‘ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. ინტერვიუმ დაადასტურა, რომ კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა.

**ესთეტიკური აღზრდა** – დაწყებით საფეხურზე შერჩეული თემები და საკითხები, რომლებიც მუშავდება თემატურ მატრიცებსა და კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განაზოგადონ მიღებული ცოდნა და დაუკავშირონ ის ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებაში ნასწავლ/შესასწავლ მასალას და დაუკავშირონ პირად გამოცდილებას.მაგ.: მუსიკა – ცხოველების იმიტაცია ხმებით/ხატვა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება–ბუნების ხედები, გეომეტრიული ფიგურები, ხილი და სხვა.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** – ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმებში გაწერილი თეორიული და პრაქტიკული შინაარსის თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები (მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ხელბურთის, ფეხბურთის და კალათბურთის ტექნიკური ელემენტების შესწავლა), რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

**ინდიკატორი დამადასტურებელი:**

**დასტური (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო კურიკულუმები;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- ინგლისურ ენაში V და VI კლასებში ჩატარებული ვიქტორინა “Smart Competition”– (გეგმა, კითხვარი, შეფასების კრიტერიუმი)
- მიმდინარე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დაწყებითი კათედრის შემაჯამებელ ოქმი.

**2.2.2.** სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ესადაგება მოსწავლის პიროვნული და ფიზიკურ-სოციალური განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, რეალისტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ **3** წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი **1.** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სახელმწიფო ენა - დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებსი ბარათები) ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

მათემატიკა – დაწყებით საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ.–ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები. შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს, მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.

უცხოური ენები – მესამე თაობის ესგ–ის მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ასახულია უცხოური ენის მასწავლებლების მიერ შექმნილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში. კურიკულუმში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. კომპლექსურ დავალებაში შეფასების კრიტერიუმები მიემართება ცნების მკვიდრი წარმოდგენებისკენ, მოსწავლე სხვადასხვა თემაში ამუშავებს ცნებებს, შესაბამისად ცნებებთან დაკავშირებულ ცოდნას გაითავისებს და განაზოგადებს ცნების მკვიდრი წარმოდგენების სახით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით, სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემებს შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები–ცნებები ქვეცნებები.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი ბუნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებში ბარათები) ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემოთავაზებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელთა საშუალებითაც საკითხთა გააზრება, ცნებების და ქვეცნებების, მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება ხორციელდება; მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობა, ასევე კავშირი ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს შორის.

**ტექნოლოგიები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა–სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

**ესთეტიკური აღზრდა** - დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები. მუსიკის კურიკულუმში მკაფიოდაა გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, მკვიდრი წამრმოდგენები, რაც ადასტურებს, რომ სწავლა სწავლების პროცესში მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას შორის და იმგვარადაა დაგეგმილი სწავლის პროცესი, რომ უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩენა.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებს და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

<u>**ძირითადი დასკვნები:**</u>

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სახელმწიფო ენა – კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო–ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ასევე, თვითშეფასების რუბრიკები დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო–ემოციურ განვითარებაში. ამ მხრივ საინტერესოა დაწყებით საფეხურზე არსებული კლუბი ,,ვფიქრობთ ვეძებთ ვქმნით“, რომლის მიზანია შემოქმედებითი, ინდივიდუალური, მოტივაციური, კულტურული, კოგნიტიური, ემოციური, ფსიქომოტორული, ენობრივი, სოციალური უნარ–ჩვევების განვითარება მოსწავლეებში.

მათემატიკა – დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო—სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. მათემატიკის სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი ან ორი) მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და ცნობიერების ამაღლებას.

უცხოური ენები – საგნობრივი კონტექსტები უცხოურ ენაში ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას. მსგავსი შინაარსის დავალებები და აქტივობები ზრდის მიკუთვნებულობის და შინაგანი მოტივაციის ზრდის კარგ საშუალებას იძლევა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საგნობრივი კონტექსტები დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმის ჩარჩოებში ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას. მსგავსი შინაარსის დავალებები და აქტივობები ზრდის მიკუთვნებულობის და შინაგანიძალების გააქტიურებას, რაც მოტივაციის ზრდის კარგ საშუალებას იძლევა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები –კომპლექსური დავალებები, ღონისძიებები, ვიქტორინები, დისკუსიები, თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი სამოქალაქო აქტივობები, პროექტებზე მუშაობა, ჯგუფური და წყვილებში სამუშაო, გასვლითი გაკვეთილები და ექსკურსიები ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას. მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობითი და შემოქმედებითი უნარები, მარტივად ახდენენ თვითრეალიზაციას.

ღირებულებები – ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ–ფსიქო–სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლისა და მასწავლებლის ყოველდღიური ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებებზე. საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად

მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მშობლების როლიც. სკოლა, სოციალური ქსელი საშუალებითაც ახერხებს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვებას. საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ–კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. ეს მიდგომები გათვალისწინებული სასწავლო პროცესის განხორციელების დროსაც.

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის ფსიქო–სოციალური განვითარებისაკენ. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე,პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, უფართოვდებათ თვალსაწიერი. აქედან გამოდინარე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით – თვითრეგულაციას.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, – რომლებიც ასახავენ ზოგად განმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსს, სპეციალურ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი და განსახორციელებელი პროექტი: დღის რეჟიმის, უსაფრთხოების და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, – ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო–ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.

<u>სტანდარტი დემონსტრირებულია:</u>

სტანდარტი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა - სახელმწიფო ენის კათდრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისა, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, კათედრას აქვს მზაობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად ჩაატაროს სადიაგნოსტიკო ტესტირება ყველა საფეხურზე, რაც შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმის დოკუმენტში არის გაწერილი.

მათემატიკა – დაწყებით საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა, რომელიც ძირითადად ხორციელდება და ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით

წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმიდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით, ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში.

უცხოური ენები - წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურის უცხოურ ენაში (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების საფუძველს. ასევე, გასული სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების შეფასებისთვის და შედეგების გასაზომად იყენებს SOLO ტაქსონომიას. ეს კი პირდაპირ კორელაციაშია მოსწავლის, როგორც არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის დამგროვებლის, არამედ ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – დაწყებითი საფეხურზე, საგან ბუნებაში, მე-5, მე-6 კლასში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, რომელიც შევსებულია ქოუჩინგის პროცესში. როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების საფუძველს. ასევე, გასული სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების შეფასებისთვის და შედეგების გასაზომად კათედრა იყენებს SOLO ტაქსონომიას. ეს კი პირდაპირ კორელაციაშია მოსწავლის, როგორც არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის დამგროვებლის, არამედ ღირებულებების, დამოკიდებულებების, მეტაკოგნიტური უნარების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად

საზოგადოებრივი მეცნიერებები – საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა, წარმოდგენილი რუბრიკებით ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. რუბრიკები ისეა აგებული, რომ ახდენს მოსწავლის მიღწევების ანალიზს, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების რუბრიკებს და შესაბამისად უკუკავშირიც მეტად ნაყოფიერია.

ტექნოლოგიები – მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადსხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, დაგეგმილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე შესაბამისი ინსტრუმენტებით. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.

**ესთეტიკური აღზრდა** – სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. კონკრეტული, საგნობრივი შეფასების რუბრიკების გარდა წარმოდგენილია ჰოლისტური შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს მოსწავლის გარკვეული უნარების ფლობა/განვითარება. ესთეტიკური აღზრდის კათედრის პედაგოგები იაზრებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. ინტერვიუს დროს, შეფასებაზე საუბრისას, მათ აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლემ მოახდინოს მიღებული ცოდნის დემონსტრირება, თვითაქტუალიზაცია, თუმცა ზოგჯერ, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე ეს უჭირთ მოსწავლეებს. სწორედ, ამ უნარის გამომუშავებას ემსახურება ჰოლისტური შეფასება.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** – სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკა ფიზიკურ აღზრდაში გამომდინარეობს ტექნიკური ელემენტების შესრულების სწორ და მიზანმიმართულ შესრულებისაკენ, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

**<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

**ინდიკატორი 4.** **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

**სახელმწიფო ენა** - ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე შეიქმნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა–სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიის ნაწილია. მის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას სკოლა უზრუნველყოფს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის (სასკოლო სასწავლო გეგმაშია ჩაშენებული) დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტუროს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები – ზუსტი.

**მათემატიკა** - პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს, შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა , ობიექტურობა და სამართლიანობა მასწავლებელმა სწორად დაახასიათა და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს, მაგალითად განმავითარებელი შეფასების დროს, მასწავლებლის პასუხი იყო ადეკვატური. აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე, მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე, ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს 2023-2024 სასწ. წლიდან მოსწავლეებს მისცეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით.

უცხოური ენები – დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას საფეხური შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას საფეხური შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო; რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტურად ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. სამომავლოდ კი გეგმავს ჩაატარონ მოსწავლეთა წერები, რომლის სედეგებიც დამუშავდება შესაბამისი ჯგუფის მიერ და მოხდება შედეგების ანალიზი, ამის დასტურად კი მოვიყვან კათედრაზე არსებულ მე–12 დოკუმენტის ჩანაწერებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება, მოსწავლეებისთვისაც ხელმისაწვდომია და შესაბამისად შეგვიძია ვთქვათ, რომ სკოლაში შეფასება სანდო და ობიექტურია.

ტექნოლოგიები - პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა მასწავლებელმა სწორად დაახასიათა და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს, მაგალითად განმავითარებელი შეფასების დროს, მასწავლებლის პასუხი იყო ადეკვატური. აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო.

ესთეტიკური აღზრდა – სკოლას წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, მათ აღნიშნეს, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა) შეფასების სისტემა თანხვედრაშია სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან. მოსწავლეები იცნობებ შეფასების სისტემას. მასწავლებლები წლის დასაწყისში აცნობენ მათ შეფასების რუბრიკებს და კრიტერიუმებს. საჭიროების შემთხვევაში კი, გაკვეთილის დაწყებისას დაფაზე წერენ შეფასების კრიტერიუმებს, რათა მოსწავლეთათვის ის იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში გაკვეთილის მსვლელობის დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდაში მასწავლებლები იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელიც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლამ ამ ეტაპზე ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად, მექანიზმს სჭირდება დახვეწა, მეტი კონკრეტიკა თუ როგორ მოახდენს სკოლა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას,ასევე გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში და სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა ამ საკითხში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, დახვეწოს ვერიფიკაციის მექანიზმი; მეტი დეტალი/კონკრეტიკა თუ როგორ უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას და აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმის სასკოლო საზოგადოებაში გაზიარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში შეფასებების მონიტორინგი და აღრიცხვა ხდება სისტემატიურად და მიღწეული შედეგები ინახება ელექტრონულ ჟურნალში, ადმინისტრაციაში და კლასის დამრიგებლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტური (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - 2023-2024.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში და დაწყებით კათედრის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს მათ ინტერესებს. სკოლის ინფრასტრუქტურიდან და მატერიალური ბაზიდან გამომდინარე, იგეგმება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები, რაც ერთ–ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის, პოზიტიური და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. მოსწავლეები ზრუნავენ და დახმარებას უწევენ ერთმანეთს საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობების შესრულების დროს.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

დაწესებულების თვითშეფასების ფორმაშ ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემოს. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები, ასევე კომპლექსური დავალებები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის საკლასო თ კლასგარეშე ღონისძიებაში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებს, მათ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებსაა მორგებული.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა. საგნობრივი კათადრების წევრები ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით შეიმუშავებენ კურიკულუმებს; ურთიერთგამოცდილების, კურიკულუმების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე ახდენენ სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას. სკოლაში კათედრებს შორის თანამშრომლობის კარგი მაგალითია ერთობლივი სასკოლო და სასწავლო პროექტები, რომელშიც ჩართულნი არიან დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა საგნის პედაგოგები. დაწყებით საფეხურზე მასწავლებელთა ურთიერთთანამშორმლობის საფუძველზე ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები (ინტეგრირებული გაკვეთილი - ქართულ ენასა და ლიტერატურას და ბუნებისმეტყველებას შორის პროექტი ,,დედამიწის დღე‘‘). სკოლაში შექმნილია ,,ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი‘‘, რომელიც ზრუნავს კოლეგების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ჯგუფის წევრები ,,კრიტიკული მეგობრის‘‘ ეგიდით ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში არის პოზიტიური, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე აგებული გარემო. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, როგორც ბაღის აღსაზრდელებისთვის ისე სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეებისათვის, რომლის დანერგვასაც წელს აპირებენ. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებზე. ფორმალურ განათლებასთან ერთად სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, კლუბები.მაგ.:ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი და სხვა.

სსიპ 107–ე საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე ჩამოყალიბდა კლუბი ,,ვფიქრობთ ვეძებთ ვქმნით“, რომლის მიზანია შემოქმედებითი, სოციალური უნარ–ჩვევების განვითარება მოსწავლეებში. კლუბური მუშაობა მოსწავლისათვის არის ინტერაქტიული გარემო, სადაც მას საშუალება ეძლევა, სხვადასხვა დავალებებისა და აქტივობის შესრულების დროს, ეფექტურად გადალახოს არსებული ბარიერები.

ბულინგის პრევენციის მიზნით ხორციელდება პროექტი ,,ბავშვური სიცელქე თუ მიზანმიმართული თავდასხმა?“

აღნიშნულ საკითხებზე მშობელთა ინფორმირება ხდება საერთო კრებებსა და ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალობა, წახალისებულია სასკოლო საზოგადოების ინიციატივები.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

**დადასტურება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- №107 საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- დაწყებითი კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- პროექტი კიბერბულინგი;
- კლუბის წესდება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სოციალური ქსელი - სკოლის გვერდი.

შეფასება:

0 გთხოვთ ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შესაბამება
☐ ნაწილობრივ შესაბამება
☐ არ შესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1** მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

**1.** მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად
**2.** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
**3.** მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი **1.** მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **2.** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. ამას მოწმობს ჩატარებული აქტივობების რეფლექსია (სამოდელო გაკვეთილის რფლექსია თემაზე: ,,ბალახის სიმღერა“, რეფლექსია გაკვეთილის თემაზე: სასაუბრო შინაური ცხოველების შესახებ, რეფლექსია გაკვეთილის თემაზე: ,,ამაყი ყვავილი“), სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება ტუტორის ანგარიში; მშობლებთა უკუკავშირის ფორმა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **3.** მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმების შემუშავებისა და განვთარების მეთოდოლოგია, შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, აქამდე გამოყენებული სადიაგნოსტიკო ტესტები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით იკვეთება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ; სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმების შემუშავებისა და განვთარების მეთოდოლოგია;
- Google Forms –კითხვარი;
- ამაყი–ყვავილი–რეფლექსია;
- ტუტორის ანგარიში;
- მეჩონგურე–ტუტორის რეფლექსია;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს პოზიტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა

მრავალფეროვან წყაროებს;

მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას. შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შევძლოთ მიმოხილვა და ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი – ეს არის ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და იძლევა სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასება, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასება, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება).

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 2.** შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად

კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **3.** შეფასებისას გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს – კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს–ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **4.** შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დადასტურება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმების შემუშავებისა და განვთარების მეთოდოლოგია;
- Google Forms –კითხვარი;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები.

შეფასება:

- გთხოვთ აასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამება
☐ მეტწილად შესაბამება
☐ ნაწილობრივ შესაბამება
☐ არ შესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის და 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის თანახმად გადასინჯვა და რევიზია გულისხმობს კოლეგებს შორის ინფორმაციის გაზიარებას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის შეხვედრების დროს მოხდება სასწავლო კურიკულუმის გადახედვა, ანალიზი, შედეგების დამუშავება. მონიტორინგის და შეფასების გათვალისწინებით შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმების გასაუმჯობესებლად

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის თანახმად სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება ითვალისწინებს როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზე მიღწეულ შედეგებს და გამოკვეთილ საჭიროებებს.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

0 გთხოვთ ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

**I.** ავტორიზაციის მე–**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი/ინსტრუქცია თითოეული კურიკულუმისთვის

ცხრილი

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|

| სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საბაზო საფეხური | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
|---|---|
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |

**II.** ავტორიზაციის მე–2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2.** სასკოლო კურიკულუმი – ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კათედრებთან ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობის დროს გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სსიპ ქ. თბილისის N107 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების დ განვითარების მეთოდოლოგიები''. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავება ხდება ძირითადად მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: ჩატარებული ღონისძიებები, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილები და რეფლექსიები, მოსწავლეთა შედეგები, კათედრების მუშაობა. ამასთან მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებისას, სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; ესენია: პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე; კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. გასაუბრებითა და კათედრის სხდომის ოქმით, სადაც N4 საკითხად განხილულია კურიკულუმების შექმნა, დასტურდება, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუძველზე. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისიწინების შესაძლებლობას იძლევა.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საგნობრივ კათედრებზე ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებენ პარალელური კლასების მასწავლებლები ერთობლივად და განსახილველად წარადგენენ კათედრაზე. სკოლას აქვს წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის N1 ოქმი, სადაც ერთ-ერთ საკითხად სწორედ კურიკულუმებია განხილული. ჩანს კათედრის წევრების

ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცებულია სასწავლო წლის დასაწყისში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე და ასევე კათედრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ნამდვილად ახორციელებენ განვლილი წლის კურიკულუმების განხილვას და ცვლილებებს შეტანას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **4.** კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ქალაქ თბილისის N107 სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს საკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. კათედრებთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და აღწერეს სკოლის პრაქტიკა იმის შესახებ, რომ სასწავლო წლის დასწყისში, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობებენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ეთიკის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა მშობლები გამოირჩევიან ინტერესით და მათთან დეტალურად ხდება დაგეგმილი სასწავლო პროცესების, მისაღწევი მიზნების, აქტივობების თუ შეფასების რუბრიკების განხილვა. კათედრის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ 2023–2024 სასწავლო წელს შეინარჩუნებენ არსებულ პრაქტიკას და გეგმავენ კურიკულუმი გაუზიარონ სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს – კათედრაზე და მშობლებს – მშობელთა კრებაზე; მიღებულ უკუკავშირს და მათ შეხედულებებს გაითვალისწინებენ შემდგომი დაგეგმვის პროცესში.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასკვნები **(**მტკიცებულებები**):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სსიპ – ქალაქ თბილისის **N 107** საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების**,** მონიტორინგის**,** შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია**;**
- კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია**.**

**2.1.2.** კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), ქვეცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განსაზღვრულია განმავითარებელი შეფასება მიმართული გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის სახელმწიფო ენის კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის. მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და პიროვნულ განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გაზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმებში მთამბეჭდავადაა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თუმცა, როგორც კათედრის წარმომადგენლებმა განმარტეს, ვინაიდან რამდენიმე პარალელური კლასია, მასწავლებლები კონკრეტული კლასის ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელებენ კომპლექსურ დვალებებს. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარებისა განვითარებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

მათემატიკა – მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული. რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუს დროს გაცემული პასუხებით, მათემატიკის სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნიან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, შეიძლება ითქვას ,რომ დავალების ძირითადი საკითხები , რომლებსაც მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად;‘‘პაროლის გამოცნობა‘‘, ფინანსური მათემატიკა‘‘, ,,სკვერის დაგეგმარება‘‘, და სხვა) ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მზაობის შესაბამისად.

უცხოური ენები - წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუირების შედეგად დგინდება შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს

მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. თუმცა, სამწუხაროდ ასეთი დავალებები, უმეტესად ყველა კლასისთვის სემესტრში მხოლოდ ერთი აქვთ. მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისათვის კი სასურველია ყველა თემაში ახდენდეს მასწავლებელი მოსწავლეთა დაინტერესებას რეალურ ცხოვრებასთან ახლოს მყოფი, მოსწავლეთა ინტერესებისა და განვითარების შესაბამისი კომპლექსური/პროექტული შინაარსის მქონე დავალებებით. მეორეს მხრივ, კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მიზნების შესაბამისად. ამასთანავე, წარმოდგენილია წრის გეგმა რუსულ ენაში, რომელიც მოსწავლეზე მორგებულ სურათს ასახავს (წრე ფუნციონირებდა გასულ სასწავლო წელს). ინტერვიუს პროცესში ორგანიზატორმა მასწავლებელმა ისაუბრა წრის შექმნის აუცილებლობასა და მიღებულ შედეგებზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურზე ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიაში 2023–2024 სასწავლო წლისთვის წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში შეტანილი თემატური ერთეულები და შუალედური მიზნები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. კონტექსტ–მაგალითები მოიაზრებს მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენას და ინტერესის გამოწვევის პრაქტიკულ მაგალითს ბიოლოგიის მე–7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი შუალედური მიზანი – მოსწავლეები საკითხის ‘‘პროკარიოტები და ეუკარიოტები’’ დამუშავების პროცესში ქმნიან წერილს, რომელიც უნდა მისწერონ მეცნიერს მომავლიდან - წარმოადგენს მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინების თვალსაჩინო ნიმუშს. დავალებაში წარმოდგენილი ქვესაკითხები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ცოდნის სამივე კატეგორიაზე მორგებულ ცოდნას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივ მეცნიერებებში საბაზო საფეხურზე შემოთავაზებული კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და პასუხობს საფეხურის მოთხოვნებს, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კომპლექსური დავალებები წარმოადგენს შუალედურ მიზანს გრძელვადიანი მიზნებისკენ,კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების საფუძველზე, მათი ასაკის და წინარე ცოდნის გათვალისწინებით.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის მე–7–9 კლასების წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი.

მუსიკის კურიკულუმების ჩარჩო წარმოდგენილია თემატური ბლოკებით, შესაბამისი თემებითა და სამიზნე ცნებებით და კომპლექსური დავალებებით .მასში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და შედგენილია ახალი, გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია თემატური ბლოკების მიხედვით თემები, თემებთან დაკავშირებული საკითხი, ნაწილობრივ გამოყოფილია სამიზნე ცნებები და ის ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართებით, წინასწარაა გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისადაა შერჩეული, ასევე მეცხრე კლასის

კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. თუმცა VII კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი თემა, სადაც არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, და მხოლოდ რამდენიმე ქვეცნებაა დარგებიდან, ასევე კომპლექსური დავალების ქვემოთ არეულადაა ჩამოწერილი ქვეცნებები და რას ემსახურება გაურკვეველია. თემის საკითხი არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული. VIII კლასში ასევე წარმოდგენილია ერთი თემა, სადაც თემის სათაური არ არის მოცემული და საკითხია, იგივე ტექსტი მეორდება საკითხის გრაფაში. IX კლასში წარმოდგენილია ხუთი თემა, რომელიც საათობრივ გადანაწილებაზე (ერთ სემესტრში 1 სთ, მეორე მეესტრში 2 სთ) რეალურად შეუსრულებელია. ამ საათობრივ გადანაწილებაში 3-4 თემა შეიძლება მოესწროს. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები არ იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარების გზაზე.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში არ გაიზიარა ექსპერტთა პოზიცია და დააფიქსირა, რომ მათ ჰქონდათ შესაბამისი კურიკულუმები ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი თუმცა არც მტკიცებულებებში და არც გასაუბრების დროს ექსპერტებს არ ჰქონდათ საშუალება გაეცნობოდნენ აღნიშნულ კურიკულუმებს. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა სტანდარტი შეაფასა როგორც სრულად შესაბამისი

<u>სტანდარტი დაკმაყოფილებულია</u>

სტანდარტი **2.** კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს **(**გლობალური ფუნქციური უნარები **(6** უნარი**),** მაკროცნებები**,** სამიზნე ცნებები და შედეგები**);**

სახელოვნებო ენა –კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც უმეტესად დამუშვებულია ყველა სამიზნე ცნება. კათედრის გამოგზავნილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, მდიდარი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ– ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები (მაგ.: დავით კლდიაშვილის მოთხრობის ,,სოლომან მორბელაძე“ შეთავაზებული ეპიზოდის პიესად გადაკეთება) და სასწავლო პროექტები ( ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ მიმდინარე სასავლო წელს გეგმავენ სასწავლო პროექტების განხორციელებას) თავისი ბუნებით ყველა ამ უნარის განვითარებას და გამოყენებას უზრუნველყოფს.

მათემატიკა – მათემატიკის საბაზო კლასების სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტები–კურიკულუმის ჩარჩოები წარმოგვიდგენენ რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს/ძირითად საკითხებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა–სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებას, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

უცხოური ენები –საბაზო საფეხურის უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) სასწავლო პროგრამის აღმწერი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩოები) წარმოგვიდგენენ რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს/ძირითად საკითხებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა–სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

2023–2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებული კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსულ და ინგლისურ ენებში) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან, რასაც მოწმობს დაგეგმილი პროექტული ტიპის დავალები და აქტივობები.. მასწავლებელთან გასაუბრების დროს და გასული სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალების ანალიზის შედეგად რომელიც თავად პედაგოგებმა დეტალურად განიხილეს თუ რომელი კომპლექსური დავალებები განახორციელეს გასულ წელს და ახლა რომელი დავალებებით ჩაანაცვლებენ იკვეთება, რომ მასწავლებლები იცნობენ გრძელვადიან მიზნებს, რომელი კონკრეტული სუალედური მიზანი მიიყვანთ მათ გრძელვადიან მიზნებამდე. მათ აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების პრაქტიკა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებული კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან, რასაც მოწმობს დაგეგმილი პროექტული ტიპის დავალები და აქტივობები. მასწავლებელთან გასაუბრების დროს და გასული სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალების ანალიზის შედეგად (პედაგოგებმა გასაუბრებაზე დეტალურად განიხილეს თუ რომელი კომპლექსური დავალებები განახორციელეს გასულ წელს და ახლა რომელი დავალებებით ჩაანაცვლებენ) იკვეთება, რომ მასწავლებლები იცნობენ გრძელვადიან მიზნებს და გააზრებული აქვთ, რომელი კონკრეტული შუალედური მიზანი მიიყვანთ მათ გრძელვადიან მიზნებამდე. მათ აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების პრაქტიკა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – საზ. მეცნიერებებში კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები ძირითადად სწორად არის შევსებული. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები.რესურსები კომპლექსური დავალებების შესაბამისადაა შერჩეული და მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებლად სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ორინეტირებულია ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ –კომპონენტური უნარი) – კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა – განვითარებაზე.

ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ კათედრას ნაწილობრივ აქვს გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები და მისკენ მისასვლელი შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებებისა და პროექტების სახით (იგულისხმება სახვითი და გმოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების ხარვეზი). მუსიკის კურიკულუმებში კარგად ჩანს ის ნაბიჯები, რომლებიც ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების , მაკრო ცნებების, სამიზნე ცნებებს დამუშავებას. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პედაგოგები კათედრაზე ერთობლივად ამუშავებენ კომპლექსური დავალებების პირობებს, სადაც გამოკვეთენ იმ შუალედურ მიზნებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა გათვლილი.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.

<u>**ინდიკატორის დაკმაყოფილება:**</u>

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

**სახელოვნება** – სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება, წერია სასკოლო სასწავლო გეგმაში. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კარაგ იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს ( მაგ.: RAFT) და ხშირად მიმართავენ სასწავლო პროცესში. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან გამომდინარე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე. სპეციალური საჭიროების მოსწავლებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს.

**მათემატიკა** - საბაზო საფეხურის მასწავლებლები პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მსგავსი სტრატეგიებით, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ასევე აღნიშნეს, რომ უნდა გაუმჯობესდეს და დაინერგოს მიდგომა, რომ კლასში მოსწავლეებმა იმუშაონ ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხისა და კონტექსტ–მაგალითს უნდა ეხებოდეს. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საერთო განხილვებსა და მსჯელობებში ყველას ჩართულობას, მეორე მხრივ – განსახილველი საკითხის მრავალმხრივ გააზრებას.

**უცხოური ენები** –2023–2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოდან და გასაუბრებიდან იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება უცხოური ენის საბაზო საფეხურზე. სასწავლო თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. წარმოდგენილი შუალედური მიზნები კომპლექსური ბუნებისაა, ეს კი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება თემის ირგვლივ. მასწავლებელს კი აქვს დავალებების მოდიფიცირების და ადაპტირების საშუალება. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ უცხოური ენის კათედრა მოსწავლეების საჭიროებებს მაქსიმალურად ითვალისწინებს, აქტივობები და რესურსები განისაზღვრება და ადაპტირდება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** –კათედრასთან გასაუბრებიდან და ასევე კურიკულუმის ჩარჩოდან ირკვევა მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება საბუნებისმეტყველო საგნების საბაზო საფეხურზე. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. წარმოდგენილი შუალედური მიზნები კომპლექსური ბუნებისაა, ეს კი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება თემის ირგვლივ. მასწავლებელს აქვთ დავალებების მოდიფიცირების და ადაპტირების პრაქტიკა, რაც ასევე სპეც პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა. საბუნებისმეტყველო კათედრა მოსწავლეების საჭიროებებს მუდმივად ითვალისწინებს, აქტივობები და რესურსები განისაზღვრება და ადაპტირდება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** – ფსიქოლოგებთან თანამშრომლობით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. შეფასების სისტემა, მონიტორინგი, ანალიზი. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები , ფსიქოლოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები. ადმინიტრაცია აქტიურად უჭერს მხარს მათ სასწავლო კურიკულუმის განხორციელებაში. საზოგადოებრივ მეცნიერებებში არსებობს გამოცდილება დავალებების ფორმირების მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ამ კუთხით მეტად აპირებენ მუშაობის განვითარებას, რადგან აქამდე აქტიურად არ ხდებოდა გამოცდილების გაზიარება ამ საკითხში კათედრებს შორის, რასაც აუცილებლად გამოასწორებენ.

**ესთეტიკური აღზრდა** – სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც საგნის მასწავლებელთან მოსწავლესთან დაკავშირებული სირთულეებისას გადის დამატებით კონსულტაციებს, რის შედეგადაც არსებული პრობლემის გადაწყვეტა ხდება. სპეციალური მასწავლებლები კონსულტაციას უწევს, როგორც საგნის მასწავლებლებს ასევე სსსმ მოსწავლის და სხვა მოსწავლეების მშობლებს. ესთეტიკური აღზრდის კათედრასთან ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რაც გამოიხატება სხვადასხვა ტიპის დავალებებში.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** – სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ თბილისის N 107 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მიღწევის კრიტერიუმებს;**

**სახელმწიფო ენა** - სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (მე–7 და მე–9 კლასის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები), რომლებიც მიემართება

გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საბაზო საფეხურზე ქართულ ენაში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე—5 კლასის მეორე სემესტრსა და მე—6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

მათემატიკა – წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა საკლასო აქტივობისა თუ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, აგრეთვე წარმოდგენილია ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება, ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. სკოლის მიერ, 2023–2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ–მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა (მაგალითისთვის სკოლას უკვე შემუშავებული აქვს მე–10 კლასის თითქმის ყველა თემის შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა).

უცხოური ენები – საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელებიც გვაჩვენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის დონეს და ივითხება კონკრეტულად ერთი დავალების ფარგლებში როგორ მისცემს მასწავლებელი მოსწავლეს კონსტრუქტივისტულ რეკომენდაციებს კომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. ასევე, უცხოური ენის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კორელაციაშია მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. 2023-24 სასწავლო წლიდან უცხოური ენის კათედრა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით იმუშავებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დართული აქვს VII კლასის ბიოლოგიის კურიკულუმებს, VII კლასის კურიკულუმებშიში დაგეგმილი კომპლექსური დავლებების შეფასების რუბრიკები ცალკეა გადმოგზავნილი), რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – სკოლა იყენებს სამ–კომპონენტიან შეფასებას: საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას. განმავითარებელი შეფასება აქტიურად გამოიყენება კომპლექსური დავალების შესაფასებლად (შუალედური მიზანი). შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და შეფასება არის სანდო, ვალიდური და გამჭირვალე. შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

**ესთეტიკური აღზრდა** - სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემა. სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს, ყურადღება გამახვილდა შეფასების კრიტერიუმებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების დროს ისინი კრიტერიუმებად გამოყოფენ იმ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს, რომელის დამუშავებაც ხდება საკითხთან და თემასთან მიმართებაში. წარმოდგენილ მეცხრე კლასის კურიკულუმებში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. მკაფიოდ არის გამოკვეთილი ის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლის დამუშავებაც ხდება კონკრეტული თემის თუ აქტივობის დროს.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** – განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია თემებთან, სამიზნე ცნებებთან მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით, სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელშიც არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი.

**<u>რეკომენდაცია დაკმაყოფილებულია.</u>**

**რეკომენდაცია 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი.**

**სახელმწიფო ენა** – კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. ეს გასაუბრების დროსაც დაადასტურეს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

**მათემატიკა** – წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მათემატიკის მიმართულებით დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. თვითშეფასების კითხვარის და ინტერვიურების თანახმად დაგეგმილია მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა უკუკავშირისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდეს კურიკულუმის გადამუშავება, წარმატებული გამოცდილების საფუძველზე იცვლება და იხვეწება სასწავლო გეგმა. პირველ რიგში, ეს ეხება კომპლექსური დავალების პირობასა და აქტივობებს, ამ ეტაპზე, კურიკულუმში კომპლექსური დავალებების იდეების სახით ასახულია მასწავლებელთა წინარე პრაქტიკული გამოცდილება.

**უცხოური ენები** – სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი სახელად „ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა“, რომელშიც პასუხისმგებელი პირები გვეუბნებიან, რომ სკოლამ შეიმუშავა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დანართები გასული წლის სამოქმედო გეგმის რეფლექსიაზე დაყრდნობით, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ასევე მოხდა უცხოური ენების დანართების მომზადების შემთვევაშიც. უცხოური ენების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ არ აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, მაგრამ მიმდინარე სასწავლო წლისთვის დაგეგმილი აქვთ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსიტრება, რასაც გაითვალისწინებენ კურიკულუმის დაგეგმვაში.

საზრუნავისმქცუველი მიდგომები –გასაუბრების თანახმად დგინდება, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს წინა წლის გამოცდილებას. კათედრას აქვს პრაქტიკა და მოტივაცია სასწავლო პროცესის პარალელურად დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს კურიკულუმის შინაარსი.

საზოგადოებრივი მიდგომები – კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება ანალიზის საფუძველზე, კერძოდ ჩატარებული გაკვეთილის, განხორციელებული აქტივობის რეფლექსიაზე დაყრდნობით. წინა წლის კომპლექსური დავალების შესრულების რეფლექსიის საფუძველზე ხორციელდება ახლის შექმნა. ასევე დიაგნოსტირებისთვის შეირჩა პირველი მოდელი.

ეფექტური ანალიზი - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და ანალიზს უკეთებენ უკვე განხორციელებულ სასწავლო პროცესს. ამის მაგალითად მასწავლებლებმა გასულ წელს განხორციელებული პროექტები გაიხსენეს ( მაგ.: მწვანე არქიტექტურა) და აღნიშნეს, რომ ამ პროექტების მოდიფიცირებული ვარიანტების განხორციელებას აპირებენ წელს, სადაც უკეთ იქნება გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წინარე გამოცდილება, ასევე განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი გათვალისწინებულია.

ფართო ანალიზი და სინთეზი – სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

**დასაბუთება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- ინსტრუმენტები მიმდინარე შეფასებისთვის;
- 107–ე საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩოები – საბაზო საფეხური;
- განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები – საბაზო საფეხური;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები – საბაზო საფეხური;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- კომპლექსური დავალების ანალიზი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებითი პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და

ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებითი პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა – საბაზო საფეხურის კათედრაზე კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა გეგმავს სასწავლო პროექტებისა დაკომპლექსური დავალებით მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. სახელმწიფო ენის კათედრაზე გასულ წელს განხორციელდა პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეებმა. ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ საკითხად გაწერილია სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შეთავაზება, რაც, ასევე, მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყობს ხელს.

მათემატიკა – ინტერვიუსას პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო–სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ისე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა; მაგალითად: საგნის კურუკულუმის შესწავლის დროს იდეა/კონტექსტ მაგალითების ველში ხშირად გვხდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა მოახდინე ქუჩების დაგეგმარება, შეარჩიე სამუხრუჭე მანძილი, დახატე გეომეტრიული ფიგურა, დაამზადე სადეზინფექციო ხსნარი, რაც ცალსახად გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები არიან ჩართული შემოქმედებითი პროცესებში. ასევე ეს გარემოება დადასტურდა საგნის მასწავლებლებელთან ინტერვიუს დროს დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში.

უცხოური ენები – იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებების იდეები, მოსწავლე სასწავლო გარემოში შეძლებს შემოქმედებით პროცესში აქტიურად იყოს ჩართული და შეძლოს კეთების პროცესში ცოდნის კონსტრუირება. ხოლო თემებში, სადაც მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალს გვთავაზობს უცხოური ენების საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები რთულია დადგინდეს, რა ფორმით შეძლებს მასწავლებელი მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩაბმას.

რჩევა: სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვის შესაძლებლობის გაზრდისთვის დაიგეგმოს მეტი პროექტული/შინაარსის დავალებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – მიმდინარე სასწავლო წლისთვის სბაზო საფეხურზე, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოების ანალიზში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლეების სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვის საშუალებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები არის კარგი საშუალება მოსწავლეების შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის და მოტივაციის ამაღლებისთვის. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ თემებს აკლია კომპლექსური ტიპის აქტივობები/დავალებები, რათა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მაქსიმალურად გამოიკვეთოს. კურიკულუმებში ჩანს კომპლექსური დავალებები, მაგრამ არა ყველა თემაში, თუმცაღა კათედრაზე მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ აპირებენ კომპლექსური დავალებების შეტანას თითქმის ყველა თემაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლეების სასწავლო პროცეში აქტიური ჩართულობის და შემოქმედებითობის საშუალებას, გარდა კომპლექსური დავალებებისა, რომლებიც მოსწავლეებში აღვიძებს ამ უნარებს, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძებებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური აღზრდის კათედრამ წარმოადგინა სკოლაში არსებული მუსიკალური წრის, ასევე სხვადასხვა აქტივობები სპექტაკლების, ეროვნულ მუზეუმში, ლადო გუდიაშვილის სახლმუზეუმში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია. ასევე გადმოაგზავნა ფოტომასლა, სადაც სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით მოსწავლეებმა შექმნეს სხვადასხვა შენობები. სკოლის სოციალური ქსელში ჩანს ,ის შემოქმედებითი აქტივობები, რასაც სკოლა ატარებდა გასულ წლებში. სკოლის ფოიეში ეწყობა სხვადასხვა სახის გამოფენები, კომპლექსური დავალებების დროს შექმნილი ნამუშევრების პრეზენტაცია–გამოფენები, რაც ცხადყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულები შემოქმედებით პროცესში.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – საბაზო საფეხურის მე–7–9 კლასის კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და საბაზო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობაში; მაგიდის ჩოგბურთში; ფრენბურთში; კალათბურთში; ოლიმპიზმში; მავნე ჩვევებში;) რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს – იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სახელმწიფო ენა – კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. 2023–2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი უფრო მეტი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

მათემატიკა – პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობენ მოსწავლეები თანდათან მიიყვანონ ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. (II პრინციპი – ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით). ამისათვის იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა დიდ შანსს იმისას, მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს თავაზობენ მათი ცოდნა–გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (ცერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა–გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მაგალითად: ,,სადეზინფექციო ხსნარის დამზადება“, ,,განძის რუკა“, ,,სამუხრუჭე მანძილის გამოთვლა“, ,,ფინანსური მათემატიკა“ და სხვა, ეყრდნობიან მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნანახ ფილმებს, ნასწავლ ტექსტებს, უფროსების ნაამბობს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იგებენ და ითავისებენ ახალს.

უცხოური ენები – წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში (განსაკუთრებით იმ თემებში, სადაც კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხებია ასახული), შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ცალსახად არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. 2023–2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი უფრო მეტი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ

წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლები მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალსიწინებით ახორციელებენ ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ამისთვის იყენებენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზებს, სადიაგნოსტიკო ტესტებს, ზეპირ გამოკითხვას, წარმოდგენილ კურიკულუმებში თითეული თემა, კომპლექსური დავალება ისეა გაწერილი, რომ დაკავშირებულია უკვე განვლილ მასალასთან. მოსწავლეს უწევს წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე ახალი ცოდნის დაშენება.

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და კონტექსტ მაგალითები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. აქცენტი კეთდება მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტებზე, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს კომპლექსური დავალების შესრულება.მაგ.:სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეშვიდე კლასისი კურიკულუმის მიხედვით მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაში მუშაობენ თანამედროვე არქიტექტურაზე, მერვე კლასში კი უძველესი არქიტექტურის პრინციპების გათვალისწინებით ქმნიან პანოს. ასევე მუსიკის წარმოდგენილ კურიკულუმებში თითეული თემა,კომპლექსური დავალება ისეა გაწერილი, რომ დაკავშირებულია უკვე განვლილ მასალასთან. მოსწავლეს უწევს წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე ახალი ცოდნის დაშენება.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება–გააზრებას გავლილ თემებში შესწავლილი ტექნიკური ელემენტები დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი თემების შესწავლის პროცესში. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

<u>ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.</u>

**ინდიკატორი 3.** სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა – საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში იყენებნ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ინტერესებზე დაყრდნობით უზრუნველყონ მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე სწავლის სწავლა გათვალისწინებულია კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების შესრულებისას პედაგოგები არჩევენ მიზნის შესაბამის აქტივობებს; მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელ შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს,

რა ნაბიჯები გადადგა დავალების შესრულებისას. მოსწავლეებს დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ განხორციელებულ დავალებაზე, რაც მეტაკოგნიციას აუმჯობესებს.

უცხოური ენები – საბაზო საფეხურის უცხოური ენის კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, საგნობრივ ოქმებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა –სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, რაც ასევე ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა. კომპლექსური დავალება კარგი საშუალებაა თვითშეფასებისთვის. მოსწავლეები ასახელებენ იმ სტრატეგიებს, რომელიც გამოიყენეს, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, როგორ მიაღწიეს მიზანს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება , რომ სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, გასასვლელ ბარათებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეები ახორციელებენ განვლილი სამუშაოს თვითშეფასებას კითხვარის გამოყენებით თვითოეული თავის დასრულების ან კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ, რა ვიცოდი? რა ხერხები გამოვიყენე მიზნის მისაღწევად? რა გავიგე? რა რესურსი გამოვიყენე? და ა.შ.

ესთეტიკური აღზრდა – კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი არჩევანი (მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეცხრე კლასის) საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა–სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხვავებული უნარ–ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

<u>სტანდარტი დაკმაყოფილებულია.</u>

სტანდარტი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული);

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროქტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

მათემატიკა – სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. საბაზო საფეხურის მათემატიკის სასწავლო კურიკულუმები შეიქმნა მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

უცხოური ენები - საბაზო საფეხურის უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება მაგ.რუსული ენის VIII კლასში წარმოდგენილი საკითხი Альбом „моё путешествие“, ასევე ინგლისური ენის VII კლასში სარეკლამო აფიშის პრეზენტაცია კონცერტის, კინოს ან სპორტული ღონისძიების შესახებ, მსგავსი ტიპის დავალებები უდაოდ მოიაზრებს როგორც დეკლარატიული, ასე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროქტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – კურიკულუმები ისეა აგებული და დავალებებიც შერჩეული, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რა იცის მოსწავლემ, როგორ შეასრულოს და რა პროცედურები განახორციელოს მიზნის მისაღწევად და რაში გამოიყენებს მიღებულ ცონდას. მოსწავლეს შეუძლია მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ.

ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ საგნობრივი საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა – ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, თვალსაჩინოებაზე (ილუსტრაცია,მუსიკალური ნაწარმოები) დაკვირვებით, მსჯელობით ცოდნის პირველი კატეგორია მუშავდება, შემდეგ პრაქტიკული სამუშაო მეორე კატეგორიის დამუშავების საშუალებას იძლევა, ხოლო პრეზენტაცია/დისკუსია საკითხის განზოგადოებას უწყობს ხელს.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **5.** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს სხვა საგნებთან ინტეგრირებულად დაგეგმილი სასწავლო აქტივობები. ასევე, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას. ვინაიდან სწავლა-სწავლების პროცესი აგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე.

მათემატიკა – სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს ,,უკუსვლით დაგეგმვის‘‘ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფორ მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ კათედრას აქვს გამოცდილება საბაზო საფეხურზე საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა (მათემატიკა და ქიმია საგნებს შორის, მათემატიკა და ფიზიკა საგნებს შორის) .

უცხოური ენები – იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს ,,უკუსვლით დაგეგმვის‘‘ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, წარმოდგენილი არ ჰქონდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების/პროექტის ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება საგანთაშორის გაკვეთილების ინტეგრირებისა (ინგლისური და ი.ს.ტ-ის საგნებს შორის).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები საბუნებისმეტყველო საგნებში ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, მე-9კლასში დაგეგმილია უჯრედების გაყოფის მოდელირების შექმნა და პრეზენტაცია.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**- სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ მიზნის მისაღწევად სკოლა იყენებს კომპლექსურ დავალებებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს ასევე სხვადასხვა პროექტებს.რა დროსაც ხდება ცოდნის მობილიზება მოსწავლეთა მიერ. მოსწავლე განსაზღვრავს საჭიროებებს. რა სჭირდება მას კონკრეტული დავალების შესრულების დროს. სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს მოსწავლეს სწავლის ორგანიზებაში.

**ესთეტიკური აღზრდა** – საბაზო საფეხურზე შერჩეული თემები და საკითხები, რომლებიც მუშავდება თემატურ მატრიცებსა და კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განაზოგადონ მიღებული ცოდნა და დაუკავშირონ ის ლიტერატურაში, მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ნასწავლ/შესასწავლ მასალას და დაუკავშირონ პირად გამოცდილებას.ინტერვიუს დროს, მუსიკის მასწავლებელმა განაცხადა, რომ განხორციელებული აქვს და წელსაც აპირებ მცირე ცვლილებებით ფიზიკასთან ერთობლივი პროექტის განხორციელებას ბგერის შესახებ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, კი პროექტს ქიმიასთან საღებავების ქიმიური შემადგენლობის შესახებ და ფიზიკასთან სპექტრის ფერების შესახებ.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმებში გაწერილი თეორიული და პრაქტიკული შინაარსის თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები (მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ოლიმპიზმში და მავნე ჩვევებში), რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დადასტურება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- სასკოლო კურიკულუმები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- მიმდინარე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრების შემაჯამებელ ოქმები.
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები.

**2.2.2.** სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ და ეროვნულ მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გაათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ეხმარება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
სახელმწიფო ენა - საბაზო კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებსი ბარათები) ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

მათემატიკა – საბაზო საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.–ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა;

უცხოური ენები – წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.–ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები უცხოურ ენებისთვის, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით.მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს დანაწევრებით მიღებული ცოდნა გაამთლიანონ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალების ბარათები) ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემოთავაზებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები,რომელთა საშუალებითაც საკითხთა გააზრება,ცნებების და ქვეცნებების მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება ხდება,მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობა, ასევე კავშირი ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს შორის.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეცხრე კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები. მუსიკის კურიკულუმში მკაფიოდაა გაწერილი სამიზნე ცნებები,ქვეცნებები, საკითხები, მკვიდრი წამრმოდგენები, რაც ადასტურებს, რომ სწავლა სწავლების პროცესში მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას შორის და იმგვარადაა დაგეგმილი სწავლის პროცესი, რომ უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩენა.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებს და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **2.** საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სახელმწიფო ენა – კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო–ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად , დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ასევე, თვითშეფასების რუბრიკები დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო–ემოციურ განვითარებაში.

მათემატიკა – საბაზო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო—სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. მათემატიკის სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი ან ორი) მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და ცნობიერების ამაღლებას.

უცხოური ენები – საბაზო საფეხურზე უცხოური ენის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, ცოდნის მიღებასთან ერთად, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებასაც. ამ ტიპის დავალებებით მოსწავლე სწავლობს, თუ როგორ გამოიყენოს მოცემულ საგნობრივ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

კონტექსტში მიღებული ცოდნა. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კომპლექსური დავალებების პირობები და განხორციელების ეტაპები დაგეგმილი უნდა იყოს ისე, რომ მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეძლოს გააზრებული სწავლა, რომ მიღებული ცოდნა იყოს ფუნქციური და ხელი შეუწყოს მის პიროვნულ განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები –კომპლექსური დავალებები, ღონისძიებები,ვიქტორინები, დისკუსიები ,თვითმართველობის მიერ დაგეგმილი სამოქალაქო აქტივობები, პროექტებზე მუშაობა, ჯგუფური და წყვილებში სამუშაო, გასვლითი გაკვეთილები და ექსკურსიები ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნებ , თანამშრომლობითი და შემოქმედებითი უნარები, მარტივად ახდენენ თვითრეალიზაციას.

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური აღზრდის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე,პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, უფართოვდებათ თვალსაწიერი. აქედან გამოდინარე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით – თვითრეგულაციას.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, სპეციალურ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღი წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი და განსახორციელებელი პროექტი, ოლიმპიზმის და მავნე ჩვევების თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილდება.

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა – სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება, მოსწავლის თვითშეფასების ფორმა) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს

არჩეული შეფასების პირველი მოდელი, კათედრას აქვს მზაობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მიმართოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, ჩაატაროს სადიაგნოსტიკო ტესტირება ყველა საფეხურზე, რაც შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმის დოკუმენტში არის გაწერილი.

მათემატიკა – საბაზო საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა, რომელიც ძირითადად ხორციელდება და ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმიდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით, ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში.

უცხოური ენები –უცხოური ენის კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია ნსანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენ მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მიმართებით. ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება , რომ სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, გასასვლელ ბარათებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა, წარმოდგენილი რუბრიკებით ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას.
რუბრიკები ისეა აგებული, რომ ახდენს მოსწავლის მიღწევების ანალიზს, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების რუბრიკებს და შესაბამისად უკუკავშირიც მეტად ნაყოფიერია.

ესთეტიკური აღზრდა – სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. კონკრეტული, საგნობრივი შეფასების რუბრიკების გარდა წარმოდგენილია ჰოლისტური შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს მოსწავლის გარკვეული უნარების ფლობა/განვითარება. ესთეტიკური აღზრდის კათედრის პედაგოგები იაზრებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. ინტერვიუს დროს , შეფასებაზე საუბრისას, მათ აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ მოახდინოს მიღებული ცოდნის დემონსტრირება, თვითაქტუალიზაცია .

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება

საბაზისო ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს.განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს ტექნიკური ელემენტების შესრულების სწორ და მიზანმიმართულ შესრულებისაკენ, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სახელმწიფო ენა - ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე შეიქმნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა–სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. მის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას უზრუნველყოფას სკოლა, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებულია ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტუროს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები – ზუსტი.

მათემატიკა - პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს, შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა , ობიექტურობა და სამართლიანობა მასწავლებელმა სწორად დაახასიათა და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს , მაგალითად განმავითარებელი შეფასების დროს, მასწავლებლის პასუხი იყო ადეკვატური. აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძვნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს 2023–2024 სასწ. წლიდან მოსწავლეებს მისცეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაძღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით.

უცხოური ენები – უცხოური ენის საბაზო საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, ვინაიდან მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელმა მათ გააცნო. შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასება არის გამჭვირვალე, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პრეზენტაციამ თუ ნაშრომმა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო საგნების საბაზო საფეხურზე შეიქმნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა–სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ–ერთი ნაწილია. მის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას უზრუნველყოფას სკოლა, შეფასების ვერიფიკაციის

მექანიზმით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებულია ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება, სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკების (ბიოლოგია მე-7, 8, 9 კლასები,ქიმია მე8, 9, კლსები, ფიზიკა მე-7, 8, 9 კლასები),რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** – წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება; რუბრიკები მოსწავლეებისთვისაც ხელმისაწვდომია და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში შეფასება სანდო და ობიექტურია.

**ესთეტიკური აღზრდა** – სკოლას წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, მათ აღნიშნეს, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა ) შეფასების სისტემა თანხვედრაშია სამიზნე ცნებებთან,ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან . მოსწავლეები იცნობებ შეფასების სისტემას. მასწავლებლები წლის დასაწყისში აცნობენ მათ შეფასების რუბრიკებს და კრიტერიუმებს. საჭიროების შემთხვევაში კი, გაკვეთილის დაწყებისას დაფაზე წერენ შეფასების კრიტერიუმებს, რათა მოსწავლეთათვის ის იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** – მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში გაკვეთილის მსვლელობის დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

**<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

**ინდიკატორი 5.** სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლამ ამ ეტაპზე ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად, მექანიზმს სჭირდება დახვეწა, მეტი კონკრეტიკა თუ როგორ მოახდენს სკოლა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას,ასევე გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში და სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა ამ საკითხში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.

**რჩევა:** ძლიერ მხარეებს მიეცა რჩევა, დახვეწოს ვერიფიკაციის მექანიზმი; მეტად დააკონკრეტოს თუ როგორ უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას და აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმის სასკოლო საზოგადოებაში გაზიარებას.

**<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

**ინდიკატორი 6.** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადოდ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში შეფასებების მონიტორინგი და აღრიცხვა ხდება სისტემატიურად და მიღწეული შედეგები ინახება ელექტრონულ ჟურნალში, ადმინისტრაციაში და კლასის დამრიგებლებთან.

ინდიკატორი დადასტურებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - 2023-2024.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობასა და კომუნიკაციას;
4. ყურადღებიანი პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ინდიკატორის მოთხოვნებთან

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტსა და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს მათ ინტერესებს. სკოლის ინფრასტრუქტურიდან და მატერიალური ბაზიდან გამომდინარე, იგეგმება საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები, რაც ერთ–ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის, პოზიტიური და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. მოსწავლეები ზრუნავენ და დახმარებას უწევენ ერთმანეთს საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობების შესრულების დროს.

ინდიკატორი დადასტურებულია.

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემოს. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები, ასევე კომპლექსური დავალებები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის საკლასო თ კლასგარეშე ღონისძიებაში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებს, მათ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებსაა მორგებული.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 3.** სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა. საგნობრივი კათადრების წევრები ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით შეიმუშავებენ კურიკულუმებს; ურთიერთგამოცდილების, კურიკულუმების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე ახდენენ სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას. სკოლაში კათედრებს შორის თანამშრომლობის კარგი მაგალითია ერთობლივი სასკოლო და სასწავლო პროექტები, რომელშიც ჩართულნი არიან საბაზო საფეხურის სხვადასხვა საგნის პედაგოგები. საბაზო საფეხურზე მასწავლებელთა ურთიერთთანამშორმლობის საფუძველზე ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები. სკოლაში შექმნილია ,,ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი‘‘, რომელიც ზრუნავს კოლეგების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ჯგუფის წევრები ,,კრიტიკული მეგობრის‘‘ ეგიდით ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 4.** უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლასა და კლასის დონეზე.

სკოლაში არის პოზიტიური, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე აგებული გარემო. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, როგორც ბაღის აღსაზრდელებისთვის ისე სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეებისათვის, რომლის დანერგვასაც წელს აპირებენ. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებზე. ფორმალურ განათლებასთან ერთად სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, კლუბები.მაგ.:ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი და სხვა.

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალობა, წახალისებულია სასკოლო საზოგადოების ინიციატივები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასკვნები (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- №107 საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- კათედრების შემაჯამებელი ოქმები;
- კლუბის წესდება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სოციალური ქსელი - სკოლის გვერდი.

შეფასება:

○ გთხოვთ ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.2** მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი **1.** მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად

წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვთარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **2.** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. ამას მოწმობს ჩატარებული აქტივობების რეფლექსია, სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება ტუტორის ანგარიში; მშობლებთა უკუკავშირის ფორმა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **3.** მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, აქამდე გამოყენებული სადიაგნოსტიკო ტესტები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით იკვეთება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ; სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურება **(**მტკიცებულებები**):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- **Google Forms –** კითხვარი;
- ტუტორის ანგარიში;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას. შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შევძლოთ მიმოხილვა და ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი – ეს არის ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და იძლევა სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასება, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასება, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრავალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება).

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს

სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი.

<u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**</u>

**ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს – კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს–ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა.

<u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**</u>

**ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

<u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**</u>

**დასკვნა (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- **Google Forms** – კითხვარი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები.

შეფასება:

o გთხოვთ ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერი სარეკომენდაციო ჩარჩოების პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერი სარეკომენდაციო ჩარჩოების პაკეტი;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის და 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის თანახმად გადასინჯვა და რევიზია გულისხმობს კოლეგებს შორის ინფორმაციის გაზიარებას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის შეხვედრების დროს მოხდება სასწავლო კურიკულუმის გადახედვა, ანალიზი, შედეგების დამუშავება. მონიტორინგის და შეფასების გათვალისწინებით შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმების გასაუმჯობესებლად

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის თანახმად სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება ითვალისწინებს როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზე მიღწეულ შედეგებს და გამოკვეთილ საჭიროებებს.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- **2023–2024** სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

o გთხოვთ აასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

**I.** ავტორიზაციის მე–**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის

ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|
| ზოგადი განათლების საშუალო საფეხური | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |

ავტორიზაციის მე–2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2.** სასკოლო კურიკულუმი – ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კათედრებთან ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობის დროს გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სსიპ ქ. თბილისის N107 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ''კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების დ განვითარების მეთოდოლოგიები''. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავება ხდება ძირითადად მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: ჩატარებული ღონისძიებები, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილები და რეფლექსიები, მოსწავლეთა შედეგები, კათედრების მუშაობა. ამასთან მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებისას, სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; ესენია: პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე; კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. გასაუბრებითა და კათედრის სხდომის ოქმით, სადაც N4 საკითხად განხილულია კურიკულუმების შექმნა, დასტურდება, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუძველზე. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საგნობრივ კათედრებზე ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებენ პარალელური კლასების მასწავლებლები ერთობლივად და განსახილველად წარადგენენ კათედრაზე. სკოლას აქვს წარმოდგენილი 2023–2024 სასწავლო წლის საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის N1 ოქმი, სადაც ერთ–ერთ საკითხად სწორედ კურიკულუმებია განხილული. ჩანს კათედრის წევრების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცებულია სასწავლო წლის დასაწყისში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე და ასევე კათედრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებელები ნამდვილად ახორციელებენ განვლილი წლის კურიკულუმების განხილვას და ცვლილებებს შეტანას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **4.** კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ქალაქ თბილისის N107 სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს საკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. კათედრებთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და აღწერეს სკოლის პრაქტიკა იმის შესახებ, რომ სასწავლო წლის დასწყისში, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობებენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ეთიკის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა მშობლები გამოირჩევიან ინტერესით და მათთან დეტალურად ხდება დაგეგმილი სასწავლო პროცესების, მისაღწევი მიზნების, აქტივობების თუ შეფასების რუბრიკების განხილვა. კათედრის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ 2023–2024 სასწავლო წელს შეინარჩუნებენ არსებულ პრაქტიკას და გეგმავენ კურიკულუმი გაუზიარონ სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს – კათედრაზე და მშობლებს – მშობელთა კრებაზე; მიღებულ უკუკავშირს და მათ შეხედულებებს გაითვალისწინებენ შემდგომი დაგეგმვის პროცესში.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სსიპ – ქალაქ თბილისის N 107 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების დ განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.

**2.1.2.** კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეთა ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებს (გლობალური ეფექტიანობის უნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განსაზღვრულია განმავითარებელი შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებსა და მოსწავლეზე ორიენტირებას;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეთა ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურის სახელმწიფო ენის კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის. მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და პიროვნულ განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გააზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმებში შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები; როგორც კათედრის წარმომადგენლებმა განმარტეს, ვინაიდან რამდენიმე პარალელური კლასია, მასწავლებლები კონკრეტული კლასის ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელებენ კომპლექსურ დვალებებს. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარებისა განვითარებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

მათემატიკა – მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული. რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, მათმატიკის სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირები ჰოლისტურად გვიქმნიან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, შეიძლება ითქვას ,რომ დავალების ძირითადი საკითხები, რომლებსაც მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად;''პროცენტული ცვლილება და საბანკო სესხის გადასახადი'', ,,განტოლების და უტოლობის გამოყენება ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში'', და სხვა) ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მზაობისა შესაბამისად.

უცხოური ენები – საშუალო საფეხურზე უცხოური კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა–სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით,რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. უცხოური ენების კათედრის შეხვედრის ოქმში და მათთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულ შუალედურ მიზნებს წარმოადგენს მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირება იმდენად რამდენადაც ჩარჩოში მოცემული საკითხები და თემები მიემართება კომპლექსური ბუნების დავალებებს რაც სხვადასხვა უნარის განვითარებას უწყობს ხელს მოსწავლეებში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანები კომპლექსური დავალებების სახით. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და პიროვნულ განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გაზრებულად აქვთ შევსებული. როგორც კათედრის წარმომადგენლებმა განმარტეს, ვინაიდან რამდენიმე პარალელური კლასია, მასწავლებლები კონკრეტული კლასის ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომიდინარე განახორციელებენ კომპლექსურ დვალებებს. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებებში საშუალო საფეხურზე შემოთავაზებული კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და პასუხობს საფეხურის მოთხოვნებს, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კომპლექსური დავალებები წარმოადგენს შუალედურ მიზანს გრძელვადიანი მიზნებისკენ,კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების საფუძველზე, მათი ასაკის და წინარე ცოდნის გათვალისწინებით.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის მე–10–12 კლასების წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი.

პროექტ–ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური აღზრდის კათედრამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა სავალდებულო საპროექტო სწავლების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი, რომელშიც მოცემულია ორი პროექტი. ესგ–ს მიხედვით ერთი პროექტი ისწავლება პირველ სემესტრში, მეორე–მეორეში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება სასწავლო პროექტით შედის მეათე კლასში, ხოლო მეთერთმეტე კლასში შედის მუსიკის სავალდებულო პროექტი. მუსიკის პედაგოგთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ამჟამად მოსწავლეებს მიცემულიათ პროექტების ანოტაცია, საიდანაც უნდა აირჩიონ ორი პროექტი. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მასწავლებელი გაწერს კურიკულუმს. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით,

წარმოდგენილია საინტერესო პროექტების სახით, გამოყოფილია საკითხი,სამიზნე ცნებები და ის ქვეცნებები, რომელიბიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართებით, წინასწარაა გაწერილი საკვლევი მასალა, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისადაა შერჩეული.

**ინდიკატორი 2.** კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მკვიდრი წარმოდგენები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები);

სახელმწიფო ენა – კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც უმეტესად დამუშვებულია ყველა სამიზნე ცნება. კათედრის გამოგზავნილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, მდიდარი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები ( მაგ.: ზეპირი პრეზენტაციის მომზადება თემაზე: ,,იდეათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში“) და სასწავლო პროექტები (ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ მიმდინარე სასავლო წელს გეგმავენ სასწავლო პროექტების განხორცილებას) თავისი ბუნებით ყველა ამ უნარის განვითარებას და გამოყენებას უზრუნველყოფს.

მათემატიკა – მათემატიკის საშუალო კლასების სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტები-კურიკულუმის ჩარჩოები წარმოგვიდგენენ რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს/ძირითად საკითხებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებას, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. ასევე კათედრაზე დაიგეგმა და განხორციელდა საინტერესო სასწავლო პროექტები, რომლებიც მოსწავლეებში ფუნქციურ კომპეტენტურ უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

უცხოური ენები – უცხოური ენის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. თუმცა, წარმოდგენილი პროექტული შინაარსის დავალებები არასაკმარისია და საჭიროებს გამრავალფეროვნებას, რაზეც თავად კათედრის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში. მათ აღნიშნეს, რომ კურიკულუმის ჩარშოში მოცემულია პროექტული შინაარსის დავალებების მინიმუმი, თუმცა სასწავლო წლის მანძილზე გეგმავენ გადახედვას და ცვლილებების შეტანას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და გასაუბრებისსას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთყველა კლასში, ყველა საგანში, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. თუმცა, კათედრაზე აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი პროექტული შინაარსის დავალებები

იგეგმება რაც გაწერილია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. მათ აღნიშნეს, რომ კურიკულუმის ჩარშოში მოცემულია პროექტული შინაარსის დავალებების მინიმუმი, თუმცა სასწავლო წლის მანძილზე გეგმავენ გადახედვას, ცვლილებების შეტანას და გამრავალფეროვნებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – საზ. მეცნიერებებში კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები ძირითადად სწორად არის შევსებული. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები.რესურსები კომპლექსური დავალებების შესაბამისადაა შერჩეული და მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებლად სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საშუალო საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ორინეტირებულია ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ –კომპონენტური უნარი) – კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა – განვითარებაზე.
ფიზიკური აღზრდა და სპორტი - წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.

პროექტი – ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ კათედრას ნათლად აქვს გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები და მისკენ მისასვლელი შუალედური მიზნები პროექტების სახით. კარგად ჩანს ის ნაბიჯები, რომლებიც ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების , მკვრო ცნებების, სამიზნე ცნებებს დამუშავებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა გრძელვადიან მიზნების მიღწევის სტრატეგია და მეთოდოლოგია, პედაგოგები კათედრაზე ერთობლივად ამუშავებენ პროექტის დავალებების პირობებს, სადაც გამოკვეთენ იმ შუალედურ მიზნებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა გათვლილი.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენა – სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება, წერია სასკოლო სასწავლო გეგმაში. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კარაგ იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს ( მაგ.: RAFT) და ხშირად მიმართავენ სასწავლო პროცესში. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან გამომდიანრე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე. სპეციალური საჭიროების მოსწავლებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს.

მათემატიკა - საშუალო საფეხურის მასწავლებლები პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მსგავსი სტრატეგიებით, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ასევე აღნიშნეს, რომ უნდა გაუმჯობესდეს და დაინერგოს მიდგომა, რომ კლასში მოსწავლეებმა იმუშაონ ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხისა და კონტექსტ–მაგალითს უნდა ეხებოდეს. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საერთო განხილვებსა და მსჯელობებში ყველას ჩართულობას, მეორე მხრივ – განსახილველი საკითხის მრავალმხრივ გააზრებას.

უცხოური ენები – დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2022–23 ს/წ),რომელშიც იკითხება ის აქტივობები, რაც სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას ითვალისწინებს. რაც შეეხება საგნობრივ ჭრილში, თითოეული მოსწვალის გათვალისწინებას და დიფერენცირებულ მიდგომებს, ამის შესახებ მასწავლებლებს აქვთ ხედვა და საუბრობენ სასწავლო პროცესიდან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე როგორ ახდენენ სასწავლო მასალის დიფერენცირებას (გასასვლელი ბარათები, დავალებები მორგებული მოსწავლეთა უნარებზე..)

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები –კათედრის მიერ წარმოდგინილ დოკუმენტაციაში და ასევე სკოლის მიერ (2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება, წერია სასკოლო სასწავლო გეგმაში. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კარაგ იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან გამომდიანრე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე. სპეციალური საჭიროების მოსწავლებისათვის შედგენილია ინდივიდუალური გეგმები მე–10 კლასში ფიზიკა, ქიმიასა და ბიოლოგიაში. სადაც მოსწავლეს სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები ფსიქოლოგებთან თანამშრომლობით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. შეფასების სისტემა, მონიტორინგი, ანალიზი. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები , ფსიქოლოგები , მოსწავლეები და მათი მშობლები. ადმინიტრაცია აქტიურად უჭერს მხარს მათ სასწავლო კურიკულუმის განხორციელებაში. საზოგადოებრივ მეცნიერებებში არსებობს გამოცდილება დავალებების ფორმირების მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ამ კუთხით მეტად აპირებენ მუშაობის განვითარებას, რადგან აქამდე აქტიურად არ ხდებოდა გამოცდილების გაზიარება ამ საკითხში კათედრებს შორის, რასაც აუცილებლად გამოასწორებენ.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ თბილისის N 107 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

პროექტი – ესთეტიკური აღზრდა – სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც საგნის მასწავლებელთან მოსწავლესთან დაკავშირებული სირთულეებისას გადის დამატებით კონსულტაციებს ,რის შედეგადაც არსებული პრობლემის გადაწყვეტა ხდება. სპეციალური მასწავლებლები კონსულტაციას უწევს, როგორც საგნის მასწავლებლებს ასევე სსსმ მოსწავლის და ასევე სხვა მოსწავლეების მშობლებს.ესთეტიკური აღზრდის კათედრასთან ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რაც გამოიხატება სხვადასხვა ტიპის დავალებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სახელმწიფო ენა - სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საშუალო საფეხურზე ქართულ ენაში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე—5 კლასის მეორე სემესტრსა და მე—6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023—2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

მათემატიკა – წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა საკლასო აქტივობისა თუ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, აგრეთვე წარმოდგენილია ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება, ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. სკოლის მიერ, 2023–2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის საწყის სასწავლო პროსესში თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ– მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა (მაგალითისთვის სკოლას უკვე შემუშავებული აქვს მე–10 კლასის თითქმის ყველა თემის შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა).

უცხოური ენები - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. უცხოური ენის საშუალო საფეხურზე სკოლაში დანერგილია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება, კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა

და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება კათედრაზე; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასებით სოლო ტაქსონომიის შესაბამისად.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები კათედრა - საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. კათედრასთან გასაუბრებისას რომელიც ქიმიის ლაბორატორიასი ჩატარდა პედაგოგებმა წარმოადგინეს გამოკრული სხვადასხვა შეფასების რუბრიკები რომელიც ნათელი და ხელმისაწვდომი იყო საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვისაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – სკოლა იყენებს სამ–კომპონენტიან შეფასებას: საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას. განმავითარებელი შეფასება აქტიურად გამოიყენება კომპლექსური დავალების შესაფასებლად (შუალედური მიზანი). შეფასება ეყრდნობა მრავაფეროვან წყაროებს და შეფასება არის სანდო, ვალიდური და გამჭირვალე. შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია თემებთან, სამიზნე ცნებებთან მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით, სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელშიც არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი.

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა – კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. ეს გასაუბრების დროსაც დაადასტურეს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

მათემატიკა – წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე მათემატიკის მიმართულებით დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. თვითშეფასების კითხვარის და ინტერვიურების თანახმად დაგეგმილია მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა უკუკავშირისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის

საფუძველზე მოხდეს კურიკულუმის გადამუშავება, წარმატებული გამოცდილების საფუძველზე იცვლება და იხვეწება სასწავლო გეგმა. პირველ რიგში, ეს ეხება კომპლექსური დავალების პირობასა და აქტივობებს, ამ ეტაპზე, კურიკულუმში კომპლექსური დავალებების იდეების სახით ასახულია მასწავლებელთა წინარე პრაქტიკული გამოცდილება.

უცხოური ენები – უცხოური ენის კათედრას წარმოდგენილი აქვს 2022–23 სასწავლო წლის კურიკულუმის ნიმუში, საშუალო საფეხურისთვის, საიდანაც ივითხება, რომ 2023–24 სასწავლო წლის კურიკულუმის დანართები გასული წლის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობითაა შექმნილი. თუმცა, რა იქნა გათვალისწინებული და რა უდევს საფუძვლად დოკუმენტურად არ ჩანს. ასევე, უცხოური ენის კათედრას არ აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, რაც კურიკულუმის დაგეგმვის პროცესს ბევრად გააადვილებდა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრას წარმოდგენილი აქვს 2022-23 სასწავლო წლის კურიკულუმის ნიმუში საშუალო საფეხურისთვის, საიდანაც ივითხება, რომ 2023–24 სასწავლო წლის კურიკულუმის დანართები გასული წლის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობითაა შექმნილი. მათ ისაუბრეს თუ როგორ წარიმართა კურიკულუმების შექნაზე მუშაობის პროცესი, რაც ასევე აღწერილია კათედრის მიერ ასახულ მეთოდოლოგიაშიც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება ანალიზის საფუძველზე, კერძოდ ჩატარებული გაკვეთილის, განხორციელებული აქტივობის რეფლექსიის დაყრდნობით. წინა წლის კომპლექსური დავალების შესრულების რეფლექსიის საფუძველზე ხორციელდება ახლის შექმნა.ასევე დიაგნოსტირებისთვის შეირჩა პირველი მოდელი.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

პროექტი – ესთეტიკური აღზრდა – ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და ანალიზს უკეთებენ უკვე განხორციელებულ სასწავლო პროცესს. პროექტებში წარმოდგენილი თემები ,, ხელოვნება, როგორც სამოქალაქო პოზიციის გამოხატვის საშუალება‘‘ და ,,არატრადიციული მასალებისა და ტექნიკის გამოყენება თანამედროვე ხელოვნებაში‘‘ დამყარებულია წინარე გამოცდილებაზე, მოსწავლეები ერთგვარად აჯამებენ გასულ წლებში ნასწავლ საკითხებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წინარე გამოცდილება, ასევე განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი გათვალისწინებულია.

<u>ინდიკატორი დამაკმაყოფილებლად</u> დასტურდება

**(მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო სასწავლო გეგმა **2023-2024;**
- ინსტრუმენტები მიმდინარე შეფასებისთვის;

- **107–ე** საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის დაინტერესების ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ეროვნული სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის ნაწილები – სამუშაო ვერსია;
- განსაზღვრული შეფასების რუბრიკები – სამუშაო ვერსია;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები – სამუშაო ვერსია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- კომპლექსური დავალების ანალიზი.

შეფასება:

- გთხოვთ, ახსნათ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.** კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებითი პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდივიდუალური მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და

ანალიზი:

**ინდიკატორი 1.** სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებითი პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა – საშუალოი საფეხურის კათედრაზე კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები (მაგ.: პირადი მოსაზრების გამომხატველი ესეს დაწერა თემაზე: მიჯნურობა (სიყვარული) ვეფხისტყაოსანსა და ჩვენს დროში), მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა გეგმავს სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალებით მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. დაგეგმილია მიმდიმინარე სასწავლო წელს საკლუბო მომსახურების შეთავაზება მოსწავლეებისათვის, რომლის მიზანი არის მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება ე.ს.გ.-ის მოთხოვნათა შესაბამისად; აუდიტორიის ყურადღების მიქცევის მიზნით ,,სხეულის ენის‘‘გამოყენებით მეტყველებაში ინტერვალის, ხმის დონეების, გუნდური კითხვისა და ჟესტ-მიმიკების ფლობის გაღრმავება. სახელმწიფო ენის კათედრაზე გასულ წელსაც განხორციელდა პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეებმა. ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ საკითხად გაწერილია სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შეთავაზება, რაც, ასევე, მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყობს ხელს.

მათემატიკა – ინტერვიუსას პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ითვალისწინებნ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა; მაგალითად: საგნის კურუკულუმის შესწავლის დროს იდეა/კონტექსტ მაგალითების ველში ხშირად გვხდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ,,მოახდინე დაგეგმარება, შეარჩიე საუკეთესო ანაბარი, შექმენი შესაბამისი მათემატიკური მოდელი‘‘, რაც ცალსახად გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები არიან ჩართული შემოქმედებითი პროცესებში. ასევე ეს გარემოება დადასტურდა საგნის მასწავლებლებელთან ინტერვიუს დროს დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში.

უცხოური ენები – იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსურ/იცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებების იდეები შეიძლება ვთქვათ, რომ მოსწავლე ამგვარ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართული და მოახდინოს კეთების პროცესში ცოდნის კონსტრუირება. თუმცა, თემები, სადაც მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალია წარმოდგენილი სასურველია კომპლექსური დავალებით დაიტვირთოს, რათა უფრო ცხადად იკითხებოდეს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება.

რჩევა: სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვის შესაძლებლობის გაზრდისათვის დაიგეგმოს მეტი პროექტულობის/შინაარსის დავალებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო საგნების კათედრაზე საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები (მაგ.: მე-11 კლასი ფიზიკაში ტალღური ქანაქრის დამზდება, საქდაც მოსწავლე აღწერს პროცესს, ჩატარებული სამუშაოს შესახებ და შედეგებს წარმოადგენს ცხრილის სახით), მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა გეგმავს სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალებით მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. დაგეგმილია

მიმდინარე სასწავლო წელს საკლუბო მომსახურების შეთავაზება მოსწავლეებისათვის, რომლის მიზანი არის მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება ე.ს.გ.–ის მოთხოვნათა შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლეების სასწავლო პროცეში აქტიური ჩართულობის და შემოქმედებითობის საშუალებას, გარდა კომპლექსური დავალებებისა, რომლებიც მოსწავლეებში აღვიძებს ამ უნარებს, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძებებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – საშუალო საფეხურის მე–10–12 კლასის კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და საშუალო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობაში; მაგიდის ჩოგბურთში; ფრენბურთში; კალათბურთში; ოლიმპიზმში; მავნე ჩვევებში;) რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს – იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

პროექტი – ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური აღზრდის კათედრამ წარმოადგინა სკოლაში არსებული მუსიკალური წრის, ასევე სხვადასხვა აქტივობები სპექტაკლების, ეროვნულ მუზეუმში, ლადო გუდიაშვილის სახლმუზეუმში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია. ასევე გადმოაგზავნა ფოტომასლა, სადაც სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით მოსწავლეებმა შექმნეს სხვადასხვა შენობები. სკოლის სოციალური ქსელში ჩანს ,ის შემოქმედებითი აქტივობები, რასაც სკოლა ატარებდა გასულ წლებში. სკოლის ფოიეში ეწყობა სხვადასხვა სახის გამოფენები, კომპლექსური დავალებების დროს შექმნილი ნამუშევრების პრეზენტაცია–გამოფენები, რაც ცხადყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულები შემოქმედებით პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა – კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. 2023–2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი უფრო მეტი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

მათემატიკა – პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობენ მოსწავლეები თანდათან მიიყვანონ ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. ( II პრინციპი – ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით). ამისათვის ვიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა დიდ შანსს იმისას, მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს თავაზობენ მათი ცოდნა–გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა–გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს.

მაგალითად, ,,პროცენტული ცვლილება საბანკო სესხის გადასახადისას“ და სხვა, ეყრდნობიან მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნანახ ფილმებს, ნასწავლ ტექსტებს, უფროსების ნაამბობს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იგებენ და ითავისებენ ახალს.

უცხოური ენები – კათედრის სამუშაო ანგარიშებით და ინტერვიუს საფუძველზე, ასევე კურიკულუმის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეთა წინარე ცოდნა გათვალისწინებულია და შესაბამისად იგეგმება ახალი თემები და საკითხები. დაგეგმვისას ითვალისწინებენ კლასის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები –კათედრის სამუშაო ანგარიშში და ასევე ინტერვიუს საფუძველზე, კურიკულუმის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეთა წინარე ცოდნა გათვალისწინებულია საგაკვეთილო აქტივობებში და შესაბამისად იგეგმება ახალი თემები და საკითხები. დაგეგმვისას ითვალისწინებენ კლასის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლები მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით ახორციელებენ ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ამისთვის იყენებენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზებს, სადიაგნოსტიკო ტესტებს, ზეპირ გამოკითხვას , წარმოდგენილ კურიკულუმებში თითეული თემა,კომპლექსური დავალება ისეა გაწერილი, რომ დაკავშირებულია უკვე განვლილ მასალასთან. მოსწავლეს უწევს წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე ახალი ცოდნის დაშენება.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება–გააზრებას გავლილ თემებში შესწავლილი ტექნიკური ელემენტები დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი თემების შესწავლის პროცესში. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

პროექტი – ესთეტიკური აღზრდა – კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და კონტექსტ მაგალითები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. აქცენტი კეთდება მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტებზე, იმ ცოდნის გაღრმავებაზე რომელიც მოსწავლეებს დაუგროვდათ გასული სასწავლო წლების განმავლობაში, და იმ გამოცდილებაზე, რომლებიც დააგროვეს სწავლა–სწავლების პროცესში. აქედან გამომდინარე კურიკულუმი აგებულია ისე, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს კვლევის პროცესი.

<u>ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.</u>

ინდიკატორი **3.** სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა – საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში

იყენებნ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ინტერესებზე დაყრდნობით უზრუნველყონ მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

მათემატიკა - საშუალო საფეხურზე სწავლის სწავლა გათვალისწინებულია კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევენ მიზნის შესაბამის აქტივობებს; მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელ შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადადგა დავალების შესრულებისას. მათ დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ განხორციელებულ დავალებაზე, რაც მეტაკოგნიციას აუმჯობესებს.

უცხოური ენები – უცხოური ენის კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლა–სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე და მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში იყენებნ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ინტერესებზე დაყრდნობით უზრუნველყონ მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეები ახორციელებენ განვლილი სამუშაოს თვითშეფასებას კითხვარის გამოყენებით თვითოეული თავის დასრულების ან კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ, რა ვიცოდი? რა ხერხები გამოვიყენე მიზნის მისაღწევად? რა გავიგე? რა რესურსი გამოვიყენე? და ა.შ.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა–სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხვავებული უნარ–ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

პროექტი – ესტეტიკური აღზრდა – კურიკულუმში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. წარმოდგენილი პროექტები საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

<u>ინდივიდური დამოუკიდებლობა.</u>

**ინდიკატორი 4.** სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე **(დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული);**

სახელმძღვანელო - საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია საფეხურზე შესასწავლი სავალდებულო ნაწარმოებები. სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროქტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

მათემატიკა – სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. საშუალო საფეხურის მათემატიკის სასწავლო კურიკულუმები შეიქმნა მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

უცხოური ენები – კურიკულუმი, რომელიც მიმართულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასა და
განხორციელებებაზე ავტომატურად მოიაზრებს ცოდნის სამ კატეგორიაზე მუშაობას. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა, მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი და აქტურად გამოიყენენ რეალურ ცხოვრებაში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე კურიკულუმები ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. გასაუბრებისას კათედრის წევრებმა ისაუბრეს ინტეგრირებული დავალებების პრაქტიკაზე ქიმია–ბიოლოგიაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში. მაგალითად, თემა ‘‘ოპტიკა’’, სადაც აქცენტი კეთდება დავალებებზე, რომლებიც მიემართება ცოდნის სამივე კატეგორიას, განსაკუთრებით კი პირობისეულ ცოდნას. თემის ფარგლებში, მოსწავლე ამყარებს კავშირს ოპტიკასა და თვალის სტრუქტურას შორის და იყენებს ყოფა–ცხოვრებაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – კურიკულუმები ისეა აგებული და დავალებებიც შერჩეული, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რა იცის მოსწავლემ, როგორ შეასრულოს და რა პროცედურები განახორციელოს მიზნის მისაღწევად და რაში გამოიყენებს მიღებულ ცონდას. მოსწავლეს შეუძლია მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები

უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.

პროექტი – ესთეტიკური აღზრდა – ესთეტიკური კათედრის მიერ საგნობრივი საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული , რაც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა – ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს სხვა საგნებთან ინტეგრირებულად დაგეგმილი სასწავლო აქტივობები. ასევე, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას. ვინაიდან სწავლა-სწავლების პროცესი აგებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე.

მათემატიკა – სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საშუალო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს ,,უკუსვლით დაგეგმვის‘‘ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფრო მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ საშუალო საფეხურის კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა (მათემატიკა და ქიმიის, მათემატიკა და ფიზიკის საგნებს შორის).

უცხოური ენები – იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები , მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე(ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს ,,უკუსვლით დაგეგმვის‘‘ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, მეტი სიცხადისთვის სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები/პროექტები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები საბუნებისმეტყველო საგნებში ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, მე-10 კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება-მიტოზისა და მეიოზის მოდელის შექმნა და პრეზენტაცია თემა: უჯრედის გამრავლება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ მიზნის მისაღწევად სკოლა იყენებს კომპლექსურ დავალებებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს ასევე სხვადასხვა პროექტებს, რა დროსაც ხდება ცოდნის მობილიზება მოსწავლეთა მიერ. მოსწავლე განსაზღვრავს საჭიროებებს. რა სჭირდება მას კონკრეტული დავალების შესრულების დროს. სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს მოსწავლეს სწავლის ორგანიზებაში.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმებში გაწერილი თეორიული და პრაქტიკული შინაარსის თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები (მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ოლიმპიზმში და მავნე ჩვევებში), რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

პროექტი –ისტორიული აღზრდა – საშუალო საფეხურზე შერჩეული პროექტები და საკითხები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განაზოგადონ მიღებული ცოდნა და დაუკავშირონ ისტორიაში ნასწავლ/შესასწავლ მასალას და დაუკავშირონ პირად გამოცდილებას.

ინდიკატორი დემონსტრირდება:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრების შემაჯამებელი ოქმები.
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები.

**2.2.2.** სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ შედეგებსა და მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გაათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ეხმარება მოსწავლეს პიროვნული ფიზიკურ-სოციალური განვითარებას;

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნული განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადოდ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გაათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სახელმწიფო ენა - საშუალო კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებსი ბარათები) ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

მათემატიკა – საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.–ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა;

უცხოური ენები – უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია თემები და საკითხები, რომლებიც მოიცავს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. თუმცა, აუცილებელია საშუალო საფეხურის კურიკულუმი იმგვარად იქნას შედგენილი, რომ სრულყოფილად ფარავდეს თითოეული თემის ირგვლის გრძლევადიანი მიზნების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალების ბარათები) ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემოთავაზებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები,რომელთა საშუალებითაც საკითხთა გააზრება,ცნებების და ქვეცნებების მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება ხდება,მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობა, ასევე კავშირი ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს შორის.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებს და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

პროექტი - ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი საკვლევი მასალა. საბოლოო პროდუქტში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები. მუსიკის კურიკულუმში მკაფიოდაა გაწერილი სამიზნე ცნებები,ქვეცნებები, საკითხები, მკვიდრი წამრმოდგენები, რაც ადასტურებს, რომ სწავლა სწავლების პროცესში მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას შორის და იმგვარადაა დაგეგმილი სწავლის პროცესი, რომ უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩენა.

<u>ძირითადი დაკვირვებები.</u>

ძირითადი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სახელმწიფო ენა – კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო–ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ასევე, თვითშეფასების რუბრიკები დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო–ემოციურ განვითარებაში.

მათემატიკა – საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო—სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. მათემატიკის სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი ან ორი) მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და ცნობიერების ამაღლებას.

უცხოური ენები – უცხოური ენის საშუალო საფეხურზე შერჩეული სასწავლო თემები და საკითხები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქო–ემოციურ განვითარებას. კათედრას გაცნობიერებული აქვს პროექტული სწავლების მნიშვნელობა, რომელიც ცოდნის ტრანსფერის ეფექტური საშუალებაა. ამ

ეტაპზე მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ 2023–2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი სასწავლო ან კვლევითი პროექტები, თუმცა გეგმავენ გააქტიურებას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვა, გამოხატონ ემპათია, დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, შეძლონ გუნდური მუშაობა, გაუმკლავდნენ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს და აიღონ პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – კათედრაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი იმგვარად მიმდინარეობს, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცეს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – კომპლექსური დავალებები, ღონისძიებები,ვიქტორინები, დისკუსიები ,თვითმართველობის მიერ დაგეგმილი სამოქალაქო აქტივობები, პროექტებზე მუშაობა, ჯგუფური და წყვილებში სამუშაო, გასვლითი გაკვეთილები და ექსკურსიები ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას.მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება , თანამშრომლობითი და შემოქმედებითი უნარები, მარტივად ახდენენ თვითრეალიზაციას.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, – რომლებიც ასახავენ სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, სპეციალურ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღი წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი და განსახორციელებელი პროექტი, ოლიმპიზმის და მავნე ჩვევების თემატიკიდან გამომდინარე, – ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო–ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.

პროექტი – ესთეტიკური აღზრდა –კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის ფსიქო–სოციალური განვითარებისაკენ. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით – თვითრეგულაციას.

<u>სტანდარტი დაკმაყოფილებულია.</u>

სტანდარტი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა – სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება, მოსწავლის თვითშეფასების ფორმა) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისა, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, კათედრას აქვს მზაობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მიმართოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, ჩაატაროს სადიაგნოსტიკო ტესტირება ყველა საფეხურზე, რაც შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმის დოკუმენტში არის გაწერილი.

მათემატიკა – საშუალო საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა, რომელიც ძირითადად ხორციელდება და ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმიდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით, ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში.

უცხოური ენები - სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმიდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენ მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება რომელზეც კატედრის წევრმა მასწავლებლებმა ისაუბრეს, მოსწავლის თვითშეფასების ფორმა) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, კათედრას აქვს მზაობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მიმართოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, ჩაატაროს სადიაგნოსტიკო ტესტირება ყველა საფეხურზე, რაც შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმის დოკუმენტში არის გაწერილი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა, წარმოდგენილი რუბრიკებით ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. რუბრიკები ისეა აგებული, რომ ახდენს მოსწავლის მიღწევების ანალიზს, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების რუბრიკებს და შესაბამისად უკუკავშირიც მეტად ნაყოფიერია.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს ტექნიკური ელემენტების შესრულების სწორ და მიზანმიმართულ შესრულებისაკენ, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

პროექტი – ესთეტიკური აღზრდა – სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. კონკრეტული, საგნობრივი შეფასების რუბრიკების გარდა წარმოდგენილია ჰოლისტური შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს მოსწავლის გარკვეული უნარების ფლობა/განვითარება. ესთეტიკური აღზრდის კათედრის პედაგოგები იაზრებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. ინტერვიუს

დროს , შეფასებაზე საუბრისას, მათ აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ მოახდინოს მიღებული ცოდნის დემონსტრირება,თვითაქტუალიზაცია.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სახელმწიფო ენა - ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურზე შეიქმნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიის ნაწილია. მის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას უზრუნველყოფას სკოლა, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებულია ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები – ზუსტი.

მათემატიკა - პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს, შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა , ობიექტურობა და სამართლიანობა მასწავლებელმა სწორად დაახასიათა და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს , მაგალითად განმავითარებელი შეფასების დროს, მასწავლებლის პასუხი იყო ადეკვატური. აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძვნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს 2023-2024 სასწ. წლიდან მოსწავლეებს მისცეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაძღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით.

უცხოური ენები – წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ უცხოური ენის საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო საგნების საშუალო საფეხურზე ყველა საგანში შეიქმნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი ნაწილია. მის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას უზრუნველყოფას სკოლა, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებულია ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება, სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკების(ბიოლოგია მე-10,11 კლასები; ქიმია მე-10 კლსი, ფიზიკა მე-10, 11 კლასები), რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები – წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება, მოსწავლეებისთვისაც ხელმისაწვდომია და შესაბამისად შეგვიძია ვთქვათ, რომ სკოლაში შეფასება სანდო და ობიექტურია.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში გაკვეთილის მსვლელობის დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

პროდუქტი - ესთეტიკური აღზრდა - სკოლას წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, მათ აღნიშნეს, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნებში ( სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა ) შეფასების სისტემა თანხვედრაშია სამიზნე ცნებებთან,ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან . მოსწავლეები იცნობებ შეფასების სისტემას. მასწავლებლები წლის დასაწყისში აცნობენ მათ შეფასების რუბრიკებს და კრიტერიუმებს. საჭიროების შემთხვევაში კი, გაკვეთილის დაწყებისას დაფაზე წერენ შეფასების კრიტერიუმებს, რათა მოსწავლეთათვის ის იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლამ ამ ეტაპზე ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად, მექანიზმს სჭირდება დახვეწა, მეტი კონკრეტიკა თუ როგორ მოახდენს სკოლა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას,ასევე გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში და სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა ამ საკითხში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.

რჩევა: დოკუმენტების მიუხ რჩევა, დახვეწოს ვერიფიკაციის მექანიზმი; მეტად დააკონკრეტოს თუ როგორ განხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაციას და აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმის სასკოლო საზოგადოებაში გაზიარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადოდ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში შეფასებების მონიტორინგი და აღრიცხვა ხდება სისტემატიურად და მიღწეული შედეგები ინახება ელექტრონულ ჟურნალში, ადმინისტრაციაში და კლასის დამრიგებლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - 2023-2024.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლასა და კლასის დონეზე. ინდიკატორის მოთხოვნებთან

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში და მასწავლებელებთან ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს მათ ინტერესებს. სკოლის ინფრასტრუქტურიდან და მატერიალური ბაზიდან გამომდინარე, იგეგმება საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები, რაც ერთ–ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის, პოზიტიური და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. მოსწავლეები ზრუნავენ და დახმარებას უწევენ ერთმანეთს საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობების შესრულების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემოს. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები, ასევე კომპლექსური დავალებები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის საკლასო თ კლასგარეშე ღონისძიებაში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებს, მათ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებსაა მორგებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა. საგნობრივი კათადრების წევრები ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით შეიმუშავებენ კურიკულუმებს; ურთიერთგამოცდილების, კურიკულუმების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე ახდენენ სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას. სკოლაში კათედრებს შორის თანამშრომლობის კარგი მაგალითია ერთობლივი სასკოლო და სასწავლო პროექტები, რომელშიც ჩართულნი არიან სხვადასხვა საგნის პედაგოგები. საშუალო საფეხურზე მასწავლებელთა ურთიერთთანამშორმლობის საფუძველზე ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები. სკოლაში შექმნილია ,,ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი‘‘, რომელიც ზრუნავს კოლეგების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ჯგუფის წევრები ,,კრიტიკული მეგობრის‘‘ ეგიდით ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

**ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლასა და კლასის დონეზე.**

სკოლაში არის პოზიტიური, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე აგებული გარემო. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, როგორც ბაღის აღსაზრდელებისთვის ისე სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეებისათვის, რომლის დანერგვასაც წელს აპირებენ. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებზე. ფორმალურ განათლებასთან ერთად სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, კლუბები.მაგ.:ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი და სხვა.

აღნიშნულ საკითხებზე მშობელთა ინფორმირება ხდება საერთო კრებებსა და ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალობა, წახალისებულია სასკოლო საზოგადოების ინიციატივები.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

**დადასტურება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- №107 საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- კათედრების შემაჯამებელი ოქმები;
- კლუბის წესდება;
- სადამრიგებლო პროგრამა;

- სოციალური ქსელი - სკოლის გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.3** მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

**4.** მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად
**5.** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
**6.** მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი **1.** მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი **2.** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. ამას მოწმობს ჩატარებული აქტივობების რეფლექსია. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება ტუტორის ანგარიში; მშობლებთა უკუკავშირის ფორმა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **3.** მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, აქამდე გამოყენებული სადიაგნოსტიკო ტესტები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით იკვეთება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ; სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება **(**მტკიცებულებები**):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- Google Forms –კითხვარი;
- ტუტორის ანგარიში;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

**5.** შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
**6.** შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით;
**7.** შეფასებისას გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
**8.** შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ინდიკატორი **1.** შეფასება ეყრდნობა

მრავალფეროვან წყაროებს;

მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას. შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შევძლოთ მიმოხილვა და ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი – ეს არის ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და იძლევა სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასება, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასება, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება).

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი **2.** შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად

კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი.

ინდიკატორი დადასტურებულია.

ინდიკატორი **3.** შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს – კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს–ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა.

ინდიკატორი დადასტურებულია.

ინდიკატორი **4.** შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

ინდიკატორი დადასტურებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმების შემუშავებისა და განვთარების მეთოდოლოგია;
- Google Forms –კითხვარი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები.

შეფასება:

0 გაწერილი ასახული შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამება
☐ მეტწილად შესაბამება
☐ ნაწილობრივ შესაბამება
☐ არ შესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მიღწევის შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის და 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის თანახმად გადასინჯვა და რევიზია გულისხმობს კოლეგებს შორის ინფორმაციის გაზიარებას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის შეხვედრების დროს მოხდება სასწავლო კურიკულუმის გადახედვა, ანალიზი, შედეგების დამუშავება. მონიტორინგის და შეფასების გათვალისწინებით შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმების გასაუმჯობესებლად

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის თანახმად სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება ითვალისწინებს როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზე მიღწეულ შედეგებს და გამოკვეთილ საჭიროებებს.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასაბუთება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მტკიცებულებები

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- **2023–2024** სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამისობა
☐ მეტწილად შესაბამისობა
☐ ნაწილობრივ შესაბამისობა
☐ შეუსაბამობა

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თამარ აბაზაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქეთევან ბაცანკალაშვილი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ეკატერინე გურგენაშვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნანა კასრაძე საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი;

ნინო თამარაშვილი უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი;

მარიკა ბოცვაძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ანა ობოლაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ლალი აბულაძე მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

მარიამ ჯვარიძე სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ნატო ხაჭაპურიძე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

კობა დევკანაძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი;.

20.11.2023
თარიღი